ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა 13 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ. ღირს: 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 75 კაპ. განცხადებების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. ხაზგასმულთათვის განცხადება 25 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოიტანილ იქნას არა უგვიანეს დღისით 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთა შენახვას რედაქცია არ იღებს, ავტორებს უკან არ უბრუნებს და იმის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

[illegible] ქუჩა № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. [illegible] შეიძლება. რედაქციაში [illegible] 10—1 საათამდე [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 83 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 83

გულდამწვარი მეუღლე ნინა გიორგის ასული, შვილები: ანნა, მიხეილ, ილიკო, ელენე, ნადია, ნათელა, ძმა მღვდელი იაკობ და მარიამი, რძალი ანნა, სიდედრი დარია, შვილებით, ძმისწულები ნიკოლოზი, პეტრე, აკაკი, ვიქტორი, მარია, გიორგი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი

ესტატე გიორგის ძე ლომიძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 10 აპრილს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (რუსთაველის ქ. № 27) ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე კვირას 13 აპრილს. (2—2)

მწუხარებით იუწყება დედა [illegible], ძმა [illegible] და ძმა [illegible], ბიძაშვილები [illegible], სანდრო და [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ორშაბათს, 13 აპრილს (ახ. სტილით) ს. წითელ მთის ეკლესიაზე (გურიაში) გადახდილ იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარის

დათიკო ალექსანდრეს ძე ვანიძის

სულის მოსახსენებლათ, რომელიც გმირულად დაიღუპა ფრონტზე ანარიაზე ბრძოლის დროს. (2—2)

ქ. თბილისის მილიციის კავშირი ამით აუწყებს ამხ. მილიციონერებს და მოქალაქეებს, რომ 8 აპრილს თავის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს ტრაგიკულად იქნა მოკლული კავშირის წევრი და პირველ სამილიციო უბნის [illegible] ამავე უბნის მილიციონერი მოწინავე ამხანაგი

იოსებ ეგორის ძე წიკორიძე

რომლის დასაფლავება მოხდება კვირას 13 აპრილს დილის 10 საათზე, გამოსვენებით საკუთარი ბინიდან მახათის ქუჩა № 1. (2—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფილომინე იუსის ასული ბერუჩაშვილისა შვილიშვილითურთ აუწყებს მეგობრებს და ნათესავებს, რომ კვირას 13 აპრილს დილის 12 საათზე ხოჯივანქის სამარეში, მიცვალებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

იოსებ დავითის ძე ბერუჩაშვილის

სულის მოსახსენიებლათ. (2—2)

ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარი მეუღლე ლეონტი ხუჭუა შვილებით ეკატერინე და მაქრინეთი, დედა სოფო, დები [illegible] ნინო, ძმები: კოლია და შაქრო ბოხუები, მულები: ელისაბედი, მინადორა, ეფროსინე, სიძეები: ბესარიონ ლეჟავა, საბა შენგელაია და ბესარიონ ტორონჯაძე, მაზლები: ნინა და სოლომონ, ბიძაშვილი ამბაკუმ ხუჭუა, ბიძაშვილები: თამარა, ლადო და დავითი ხუჭუები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ მიხაილოვში გარდაიცვალა

ანიჩკა სისოს ასული ხუჭუასი

რომლის გამოსვენება მოხდა პარასკევს 11 აპრილს ნაშუადღევის 1 საათზე დასაფლავდება კვირას 13 აპრილს ქ. სამტრედიაში ნაშუადღევის 4 საათზე იოანე ნათლის მცემლის სასაფლაოზე.

გულდათუთქულნი ცოლისძმები: გორის საქართველოს ტაძრის [illegible] დიაკონი ლევანი და ალექსანდრე კომოხიძეები, პირველი ცოლშვილით ამით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომ 10 აპრილს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ძმა

ესტატე გიორგის ძე ლომიძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (რუსთაველის ქ. № 27) ნაძალადევის ივერიის ღვთის მშობლის ეკლესიაში დილის 10 საათზე. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე კვირას 13 აპრილს

მოქალაქეთა კომიტეტი და სასურსათო კომიტეტი ნაძალადევის რაიონისა, მწუხარებით აუწყებს ყველა ნაცნობ ამხანაგებს და ნაძალადევის მოქალაქეებს, რომ 10 აპრილს დილით გარდაიცვალა ამავე კომიტეტების წევრი დაუღალავი მუშაკი და საერთო საზოგადო საქმისათვის თავდადებული მოქალაქე

ესტატე გიორგის ძე ლომიძე

გამოსვენება მოხდება 13 აპრილს კვირას 10 საათზედ დილით ნაძალადევის ეკლესიაში, რუსთაველის ქუჩა № 27. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზედ.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ილია ესებ ძე გოგოლაშვილი და შვილი მისი კოტე, მშობლები, დები: მარიამ, ნინა, პაშა და ელენე და ძმა თათრახან ლევალიშვილები, მაზლები და მულები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

მარიამ გოგოლაშვილისას

ცხედარი გამოსვენებულ დღეს, კვირას დილით 9 საათზე გორის ქ. № 24 დასაფლავდება წმ. ნინოს სასაფლაოზე

მე 6 რაიონის კოლექტივი ს. ს. დ. მ. პ. აუწყებს პარტიის წევრებს, რომ დღეს 13 აპრილს გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე დილის 12 საათზე ხოჯივანქის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ყოფილი კოლექტივის წევრის ამხ.

იოსებ ბერუჩევის

[illegible]. მე-6 რაიონის კოლექტივი.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა თამარი, ძმები—ვანო და ლადო, და—ნინო [illegible] ამით აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასს დაუვიწყარი

ელისაბედ (ლიზა) სიმონის ასული აბაშიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხვალ. [illegible]

ქართული კლუბი

კვირას 13 აპრილს, დილის 11 ნახ. საათზე, შ. დ. ხაყვარელიძე წაიკითხავს მოხსენებას

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პრეზიდენტობის საკითხი

კამათში მიიღებენ მონაწილეობას [illegible]: ბ.ბ. დ. ონიაშვილი, ი. ბარათაშვილი, გ. გვაზავა, გ. ნათაძე და სხვანი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. (3—3)

კავშირების გაერთიანების საკითხი

ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობას, სხვათა შორის, ერთი ფრიად დიდი საკითხი აქვს გადასაწყვეტი: რა გზით შეიძლება გაერთიანდეს ამიერ-კავკასიის ფარგლებში პროფესიონალური კავშირების მოძრაობა.

ამ კითხვას დიდი ხნის ისტორია აქვს: კავშირები ვერ გაერთიანდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამიერ კავკასია, როგორც მთლიანი ერთეული, რუსეთის ნაწილს შეადგენდა. იმ დროის არჩეული იყო ერთი ხელმძღვანელი ცენტრი, მაგრამ ფაქტიურათ მას არასოდეს არ უწარმოებია საერთო მუშაობა. არსებობდა ორი ცენტრი თბილისსა და ბაქოში, ხოლო რაც შეეხება ერევანს, ის სულ არ ჩანდა, რადგან სომხეთში ჯერაც არ არსებობს მუშათა კლასი.

ასეთი იყო საქმის ვითარება ამ ბოლო დრომდის.

მაშინ, როგორც ვიცით, დიდი ცვლილება მოხდა ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამიერ-კავკასია [illegible], შემდეგ კი თითონ დანაწილდა სამ რესპუბლიკათ. დღეს უკვე ამ სამ რესპუბლიკასთან გვაქვს საქმე: საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი სხვადასხვა სახის პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენენ განსხვავებულ მუშათა კანონმდებლობით და მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებით.

და ამიტომ აღნიშნული საკითხის გადაჭრის დროს, ჩვენ სახეში უნდა მივიღოთ დღეს არსებული პოლიტიკური მდგომარეობა.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ მუშათა შეერთება სასურველია და რაც უფრო დიდი იქნება სამოქმედო ტერიტორია, მით უკეთესია მუშებისათვის.

მაგრამ ერთია სურვილი, ხოლო მეორე რეალური პირობები. კავშირების გაერთიანება პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას თხოულობს, ამიერ კავკასიის შეერთების სურვილი, უკეთუ ჩვენ ასეთი სურვილი გვექნება, მომავლის საქმეა. ხოლო უცნობ მომავალზე პრაქტიკულ მოღვაწეობის აშენება ყოვლად შეუწყნარებელია.

პროფესიონალური კავშირები წარმოადგენენ მუშათა კლასის ეკონომიურ ორგანიზაციას. ამ მხრით ის არა გავს პოლიტიკურ პარტიას, რომელიც თავს უყრის ერთი რწმენის ხალხს. პროფესიონალური ორგანიზაცია აკავშირებს ყველა მუშას, რა პარტიისაც არ უნდა იყოს ის. ამაშია მისი დიდი მნიშვნელობა, როგორც მუშათა კლასის კლასიური ორგანიზაციისა. თუ ის აცდა ამ გზას, მაშინ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

ამიტომ პროფესიონალურ კავშირების დანიშნულებას არ შეადგენს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებისათვის ბრძოლა. მანამდე კი, სანამ არ გაერთიანებულა ამიერ კავკასიის სამი რესპუბლიკა, შეუძლებელია გაერთიანდეს ამ სამი რესპუბლიკის საზღვრებში მოქმედი პროფესიონალური კავშირები და შექმნან ერთი ცენტრი, რომლის დადგენილებები სავალდებულო იქნება ყველა კავშირებისათვის.

მაგრამ საერთო ცენტრის შექმნის შეუძლებლობა კიდევ არ ნიშნავს იმას, ვითომ შეუძლებელი და საჭირო არ იყოს ამიერ-კავკასიის საზღვრებში მოქმედ კავშირების შეთანხმება და ხელიხელ-დაჭერილი მოღვაწეობა. ასეთი შეთანხმება მეტად სასარგებლოა.

ამიტომ ჩვენ შესაძლებლათ მიგვაჩნია შეიქმნას იდეური ცენტრი, რომელნიც [illegible] რესპუბლიკათ, მაგრამ ამ ცენტრებმა უნდა გამოჰყონ ერთგვარი კომისია ან ბიურო, რომელიც შეთანხმებას და ნაბიჯების კოორდინაციას ხელს შეუწყობს.

ამ გზით ჩვენ საუკეთესო საშუალებით ვეცდებით ამიერ კავკასიის მუშათა შორის სოლიდარობის განსამტკიცებლად.

დამფუძნებელი კრება

11 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ამ. ლომთათიძე.

მდივანი ქ. ჯაფარიძე კითხულობს კომისიაში გადასაცემად შემოსულ კანონ-პროექტს.

სარევიზიო კომისიის სახელით სოლოღაშვილი კითხულობს სახელმწიფო ცენტრალურ დაწესებულებათა რევიზიისათვის მეორე კომისიების დაარსებისა.

ამხ. ჩიტაიშვილი მოახსენებს კრებას კანონ-პროექტს სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მიცემისას. ამ კანონ პროექტის თანახმად იმ მოსამსახურეებს, რომლებსაც 1919 წლის 1 იანვრიდან ჯამაგირები არ მოემატებათ, უნდა მიეცეთ ჯამაგირის თვეში 300 მანეთი. [illegible] და მეორე წლისათვის მიეცეთ ამ თანხის ნახევარი, ესე იგი, 130 მ. კანონ პროექტი ხ. ერაძის დამატებით მიღებულ იქნა.

განსახილველია პროექტი დეკრეტისა ქალაქებში დაუსახლებელ მიწებზე აღკრძალვის დადებისა.

ქ. ნინიძე. ჩვენ, ამბობს მომხსენებელი, აგრარულ რეფორმის გატარება არ დაგვიმთავრებია. სოფლის მიწების შესახებ გვაქვს კანონი, რომელსაც ვატარებთ ცხოვრებაში, ქალაქის მიწების შესახებ კი არავითარი კანონი ჯერ არ შემუშავებულა. საჭიროა ასე თუ ისე ამ მიწების ბედიც გადაწყდეს. წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ, თუ რა სახით იქნება გატარებული ქალაქის მიწების კანონი, წინასწარ ვერ ვიტყვით, რა გზით და რამდენს ჩამოართმევენ, მხოლოდ ვიდეთ რა მხედველობაში, რომ მალე გამოიცემა კანონი ქალაქის მიწების შესახებ, ჩვენ ამ დეკრეტით ვკრძალავთ დროებით მიწების ყიდვა-გაყიდვას. ეს შეეხება ისეთ მიწებს, რომლებზედაც არც რაიმე შენობა არის, არც სამრეწველო. ამგვარათ, ეს შეზღუდვა ეხება მხოლოდ ცარიელ მიწებს. თუ მიწაზე გაშენებულია რაიმე სამრეწველო ქარხანა, ან სახლი, მის გარშემო მიწა თუ ის ერთ დესეტინას არ აღემატება, ჩვენ არ ვეხებით თუგინდ ცარიელიც იყოს. ეს შეზღუდვა არის დროებითი, რადგანაც ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში გამოიცემა კანონი ქალაქის მიწების შესახებ. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ სპეკულიანტების ინტერესიც. მათ შეიძლება უნდა მიეცეთ ისარგებლონ დარჩენილ ცარიელ მიწებით და ესა თუ ის წარმოება [illegible].

შენგელაიას (ს. რ.) კანონ-პროექტი მიაჩნია კომპრომისიულათ, რომელიც სოციალისტური დამფუძნებელ კრებისათვის მიუღებელია.

[illegible] (ნ. დ.) წინააღმდეგია წარმოდგენილ კანონ-პროექტისა. მისი აზრით, თუ ეს პროექტი გატარდა ცხოვრებაში, ის დიდ არეულობას შეიტანს ეკონომიურ ცხოვრებაში და წარმოების განვითარებას ხელს შეუშლის. მოითხოვს პროექტი დაუბრუნდეს აგრარულ კომისიას ხელ-ახლა განსახილველად.

ი. ბარათაშვილი გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ დროით შემოიტანოს კანონ პროექტი ქალაქების მიწების შესახებ.

არსენიძე. ამ კანონ-პროექტს, როგორც მემარჯვენეები, ისე მემარცხენეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ; უკანასკნელნი გონით, რომ რადგან განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა და ამ კანონ-პროექტით დღესვე ისპობა ყოველივე კერძო საკუთრება და ყიდვა-გაყიდვა უქმდება. ამ კანონ-პროექტით დაუსახლებელ მიწების ყიდვა-გაყიდვა აიკრძალება. მემარცხენეებმა ამ დებულებიდან ის დაასკვნეს, რომ ეს დეკრეტები რაღაც ახალ განსაზღვრულ აზრს შეიცავს. ჩვენ გვგონია, რომ დღესვე შეჩერდეს ცარიელ მიწების ყიდვა-გაყიდვა, რადგანაც ვიცით რომ თუ ასეთი წესი არ დაწესდა დღესვე, წინამდე ეს აგრარული კანონი გამოვა, ეს ცარიელი მიწები ათასგვარი ხრიკების წყალობით დაქუცმაცდებიან, ნაწილ-ნაწილად გაიყიდება და სხვ. ეს მთავარი აზრი ამ კანონის. სანამ ეს კანონი არ შემუშავებულა, ძნელია იმის განსაზღვრა წინასწარ, თუ როგორ და რა გზით გატარდება ეს მიწის რეფორმა. მიზანი კი ცხადია, რომ ის ცარიელი მიწები, რომლებიც ტყუილ უბრალოთ ცდებიან, გამოყენებულ იქნას საზოგადოების მიერ.

ზოგიერთ ქალაქს აქვს ისეთი მიწები, რომლებიც სოფლის [illegible] და სადაც სოფლისვე მეურნეობა წარმოებს, ზოგიერთი სოფლები ქალაქებათ გადაიქცევა. შეიძლება სხვადასხვა სახით მივუდგეთ ამა თუ იმ ქალაქს, და აქ მთელი რიგი საკითხებისა წარმოსდგება.

შეიძლება იმ ქალაქებში, სადაც სოფლის მეურნეობის წესია დამყარებული, სულ სხვა გვარათ გატარდეს მიწის კანონი, ვიდრე დიდ ქალაქებში. ეს საჭიროა საერთოთ განვაცხადოთ, რათა ის სოფლები, რომლებიც ქალაქებზე [illegible] და ამით ხელი არ შეუშალონ [illegible]. კანონის შინაარსით დასახლებული, მამულები, სადაც შენობები, ქარხნები, ან სხვა წარმოებები არის, რჩება პატრონის განკარგულებაში და ცარიელ ადგილებზე კი ვკრძალავთ ყიდვა-გაყიდვას, რომ გაცხარებული მუშაობა ყოფილიყო კერძო პირების მიერ წარმოების ასაყვავებლათ, ქარხნები შენდებოდეს [illegible], მაშინ ასეთ შეზღუდვას ადგილი არ ექნებოდა, დღეს კი კერძო ინიციატივა ამ მხრივ არაფერს ქნის, კაპიტალისტი ფულს წარმოებაში არ აბანდებს და ჩვენც გამოვდივართ რა ამ პირობებიდან, შემოგვაქვს ეს პროექტი. სიტყვის დასასრულს ორატორი გამოსთქვამს იმედს, რომ ამ ორ სამ თვეში სამინისტრო შეიმუშავებს სათანადო კანონ-პროექტს ქალაქის მიწების შესახებ.

გვაზავა შეარა არ უჭერს წარმოდგენილ კანონ პროექტს, რომელიც, მისი აზრით, დიდ არევ-დარევას შეიტანს, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში.

ქ. ნინიძე. მე ოპონენტებმა სთქვეს, —თუ ცარიელი მიწების ჩამორთმევა გსურთ, რატომ დასახლებულ მამულებს არ ეხებითო. ეს იქნებოდა დიდი სოციალური რეფორმის მოხდენა და აგრარული კომისია ასეთ დიდ კითხვას ვერ შეეხებოდა. ჩვენ დღეს დღეობით სოციალისტურ წყობილებას არ ვატარებთ და კერძო საკუთრებას არ ვსპობთ მიწაზე და შენობებზე. მეორე აზრი, რომელიც აქ გამოითქვა მარჯვნიდან, იმაში მდგომარეობს, რომ ვითომც ეს რეფორმა ხელს შეუშლიდეს ეკონომიურ განვითარებას, მოსპობდეს კერძო ინიციატივას. ყველას კარგათ მოეხსენება, რომ არც ერთი კაპიტალისტი არ [illegible] ფულს წარმოების ააყვავებაზე და ცხადია, რომ ორი თვის განმავლობაში ამ ცარიელ ადგილზე ფაბრიკა—ქარხნები არ გაჩნდება. ამ [illegible] ხანაში, როცა კერძო ინიციატივა არ სჩანს, ცხადია, მეტ შემოქმედებითი უნარის გამოიჩენს საზოგადო დაწესებულება და ჩვენ შეძლებას უნდა მივცეთ ქალაქებს თუ ერობებს დაეუფლონ [illegible]. ეს არ არის დანგრევა, არამედ მხოლოდ ჩვენ გვინდა შევზღუდოთ ისეთი პირები, რომლებიც არაფერს ქმნიან და მთელ თავის ენერგიას და კაპიტალს სპეკულიაციას ანდომებენ და თუ ბ. გვაზავას ჰგონია, რომ სპეკულიანტების შეზღუდვა ეს პიროვნების შეზღუდვა არის, ის დიდ [illegible] ვარდება, რომელიც [illegible] ანარქისტობიდან და არა მემარჯვენე გვაზავასაგან. გვაზავას ჰგონია—რადგანაც დამფუძნებელი კრება შეიკრიბა, საქართველოში არავითარი კანონი აღარ არსებობს. დამფუძნებელ კრებას შეუძლიან შეცვალოს არსებული კანონი და თუ ასეთს ფაქტს ადგილი არ ჰქონდა, არსებული კანონები ძალაში რჩებიან. აქ გამოსჩანს, რა შედეგი მოგვცა აგრარულმა კანონმა. ერთი ცხადია, რომ თუ წინათ აგრარულ რეფორმის გატარებამდე ხდებოდა აჯანყებები, ახლა ასეთ მოვლენებს ადგილი არა აქვთ ჩვენში. გლეხი კმაყოფილია ჩვენი კანონით და ეს ყველასათვის ცხადია მგონი. ეს კანონი დროებითი არის, რადგანაც დამფუძნებელი კრება გამოსცემს კანონს ქალაქის მიწების შესახებ და რომ [illegible] გამოქვეყნებული არ იქნას მიწის კანონი, ჩვენ წინასწარ ზომებს ვღებულობთ და მიწების ყიდვა-გაყიდვას ვკრძალავთ.

კამათი დასრულდა.

ეროვნულ-დემოკრატები მოითხოვდენ კანონ პროექტი უკან დაბრუნებოდა აგრარულ კომისიას. მათი წინადადება არ მიიღეს. გადავიდნენ პროექტის მუხლობრივ განხილვაზე, რომელიც უცვლელად იქნა მიღებული.

ამხ. ჭიაბრიშვილი მოახსენებს კრებას კანონ-პროექტს სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა [illegible] შეწყვეტის კანონის მე-2-ე მუხლის შეცვლისას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მოსამსახურეები სალიკვიდაციო ფულს იღებენ $1/_{12}$ ჯამაგირისას გამომუშავებულ ნამსახურევი თვის რაოდენობაზე. [illegible]

განსახილველია წესი დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონისა, დეკრეტისა და დადგენილების გამოქვეყნებისა. მომხსენებელია რ. არსენიძე. წესი დეკრეტის და კანონის პუბლიკაციის ზოგიერთ ქვეყნებში საკონსტიტუციო კითხვათ ითვლება, მას, მაგ., დიდი მნიშვნელობა ეძლევა იქ, სადაც ორი პალატა არსებობს, იქ ხელის მოწერა, აუცილებლივ პრეზიდენტმა ან მეფემ უნდა მოაწეროს ხელი კანონს. უამისოთ კანონი ძალაში არ შედის. ჩვენ აქ დემოკრატიული წყობილება გვაქვს, დამ. კრება ერთად ერთი კანონმდებელი არის და ყოველივე ის, რაც მის მიერ მოწონებულია, სავალდებულოა ყველასათვის და აქ წესი კანონის გამოქვეყნებისა ხდება არა კანონმდებელ აქტად, არამედ მას უბრალო ტეხნიკური მნიშვნელობა ეძლევა. ნამდვილი კანონმდებლობითი მუშაობა დამფუძნებელ კრების დარბაზში ხდება. და ამიტომ წარმოდგენილ პროექტს ეწოდება წესი კანონების გამოქვეყნების. ეს არის ის ტეხნიკური გზა, რომელიც უნდა გაიაროს კანონმა.

ყოველივე კანონი, დეკრეტი, როგორც წინათ, უნდა გამოქვეყნებული იქნეს მთავრობის ოფიციალურ გამოცემაში. დამფუძნებელი კრება იგივე მთავრობა არის და ცხადია, რომ მისი ყოველივე დადგენილებანი მთავრობის ოფიციალურ გამოცემაში უნდა ცხადდებოდეს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე აწერს ხელს კანონს, ის ამით ამოწმებს ამას, რომ ასეთ აქტს აქ დამფუძნებელ კრებაში ჰქონდა ადგილი. დაიბადა მეორე საკითხი—კანონებს უნდა აწერდეს ხელს თავმჯდომარე თუ არა? კომისია აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგა იმ აზრს, რომ ასეთი ხელის მოწერა აუცილებელი არის. დადგენილებებს, რომლებიც შეეხება მთავრობის მოქმედების დამტკიცებას, თავმჯდომარე ხელს არ აწერს. იქ კი, სადაც [illegible] თუ ეს კანონი გატარდეს ცხოვრებაში, იქ ხელის მოწერა საჭიროა. ამ აქტს ის მნიშვნელობა კი არ აქვს თითქოს თავმჯდომარე იღებდეს მონაწილეობას კანონმდებლობაში. არა, ამ ხელის მოწერით გამომდინარეობს ის, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია გაატაროს ის კანონი, რომელიც მიღებულია დამფუძნებელ კრების მიერ. ამას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მასების თვალში. აქ ხალხი ნათლად ხედავს, რომ კანონი დამფუძნებელ კრებამ გადასცა მთავრობას, სისრულეში მოსაყვანათ. ხელის მოწერა დაამტკიცებს, რომ

დღეს

ახალციხის მაზრაში მუსულმანების ცხენოსანმა რაზმმა გადმოლახა საზღვრები და თავს დაესხა სოფ. პატარა ყარაზანს. ჩვენმა მოლაშქრეებმა სიმცირის გამო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ბათუმში სასტრაიკო გაფიცვა თვითმართველობის საქმეში ჩარევის შემდეგ დამთავრდა 11 აპრილს. დაპატიმრებულთა ერთი ნაწილი გენ. გუბერნატორმა უკვე გაანთავისუფლა.

გერმანიაში გაფიცვები ძლიერდება. საქსონიის ქვა-ნახშირის მუშებმა პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებები წარადგინეს. მაგდებურგში დარბევა მოხდა. წესიერება აღადგინა მთავრობის ჯარმა. მსგავსად ბავარიისა ზოგიერთ კუთხეებში საბჭოთა რესპუბლიკები გამოცხადდა.

ინგლისური პრესის ცნობით ზავის პირობების შემუშავებული საქმე კარგად მიდის. ზავს ამ თვეშივე მოაწერენ ხელს. უთანხმოება აღარ არსებობს.

დამფუძნებელი კრება და მთავრობა ერთსულოვნად მოქმედებენ. ეს წესი შემოღებულია დამფუძნებელ კრებისათვის და როგორი წესები იქნება მომავალ პარლამენტისთვის, ამას ეხლა ჩვენ არ ვეხებით.

ი. ბარათაშვილი და ი. ნუცუბიძე არ ეთანხმებიან მომხსენებელს და მოითხოვენ, რომ მთავრობის თავმჯდომარე არ უნდა აწერდეს ხელს კანონს. მათ უპასუხებს პავლე საყვარელიძე, რომელიც ამტკიცებს, რომ თავმჯდომარის მიერ ხელის მოწერა ეს არის მხოლოდ პუბლიკაციის ელემენტი და არა კანონმდებლობის აქტი და ხელის მოწერას, პრაქტიკულად თუ შევხედავთ, დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

არსენიძე უპასუხებს ოპონენტებს და ამტკიცებს, რომ წყარო ყოველივე აღმასრულებელ ძალის არის დამფუძნებელი კრება. რაკი დამფუძნებელი კრება ბატონ-პატრონია ქვეყნის, გონიათ, რომ იგი ყოველივე აღმასრულებელ ფუნქციებს უნდა ასრულებდეს. მთავარი ის კი არ არის ვინ ახორციელებს ამა თუ იმ დადგენილებას, მთავარია ის, საიდან გამომდინარეობს ეს ძალა უფლება. [illegible] ძალა დამფუძნებელ კრებაა ის პასუხს აგებს, რომ ეს კანონი შესრულებულ იქნება. თუ დადგება ისეთი დრო, რომ თავმჯდომარე არ მოაწერს ხელს კანონს, მაშინ ნათლად დაინახავთ, რომ დამფუძნებელ კრების კანონი მაინც კანონით დარჩება და მთავრობა იძულებულ იქნება წავიდეს. წარმოდგენილი წესი, რომ ყოველივე დადგენილებას, დეკრეტს კანონს ხელს აწერს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე, კანონს და დეკრეტებს მთავრობის თავმჯდომარეც, მიღებულ იქნა დამფუძნებელ კრების მიერ.

მდგომარეობა სომხეთში

11 აპრილს სახალხო სახლში სომხეთის პარლამენტის (საბჭოს) წევრმა და ამავე პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ ამხ. მაიკ ახატიანმა მოხსენება წაიკითხა სომხეთის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ.

„ეხლანდელი სომხეთი—დაიწყო ლექტორმა—შესდგება უმთავრესად ერევნის გუბერნიისაგან. ეს ნაწილი ჩამორჩენილი ნაწილი იყო ამიერ-კავკასიაში, უფრო სწორე იქნება ვსთქვათ, რომ ერევნის გუბერნია სპარსეთის ნაწილს წარმოადგენს. დემოკრატია ამ ქვეყანაში ამ თავითვე მეტად ჩამორჩენილი იყო. მაგალითად, როცა ხდებოდა ხალხის არჩევნები რუსეთის სახელმწიფო დუმაში, ხალხმა სრულებით არ იცოდა, თუ რა იყო დუმა, რისთვის ირჩევდენ დეპუტატს და სხვა. არჩევნები ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას გუბერნატორი უბრძანებდა. საქართველოში კი სულ სხვა სოციალური პირობებია. საქართველოში არსებობს პროლეტარიატი, რომელიც უმთავრესად გამოსულია ღარიბი გლეხობიდან. მაგალითად ქუთაისის გუბერნიას მთელ რუსეთში მიწის სივიწროვით მეორე ადგილი ეჭირა. ამიტომ აქ გლეხობა განვითარების სხვა საშუალებებს ეძებს. ამას გარდა, საქართველო უფრო დაახლოვებულია ევროპაზე და ადრე ითვისებს ევროპის კულტურას. აქ გაცილებით უფრო ადრე იქნა გაყვანილი რკინის გზა—ეს პირველი წინამძღვარი სტიმული ხალხის სხვადასხვა დარგებში. ამიტომ აქ ადრევე ჩაისახა მუშათა მოძრაობა. აქ ფართოდ გაიდგა ფესვები საზოგადოებრივმა პოლიტიკურმა მიმართულებებმა და ხალხის კლასები ორგანიზაციულად ასე თუ ისე ჩამოყალიბდა. დემოკრატიამ შესძლო შეკავშირება და თავისი ორგანიზაციების მოწყობა. სულ სხვა მდგომარეობა იყო და არის სომხეთში. იქ ბატონობს წვრილი მიწადმფლობელობა. ფაბრიკა-ქარხნები თითო-ოროლა არსებობს, ან უკეთესი იქნება ვსთქვათ, რომ სულ არ არსებობენ. ყოველი მუშა იქ იმის ფიქრში არის და იყო, რომ ეშოვა ფული და 300—400 მანეთად საკუთარი ბაღი შეეძინა, გამხდარიყო მესაკუთრე. არავითარი მუშათა მოძრაობა იქ არც კი დაწყებულა. სომხეთი მხოლოდ სასოფლო წვრილი მეურნეობის გლეხური ქვეყანაა. ოსმალეთის სომხეთის მწვავე მდგომარეობაც ხელს უშლიდა, რომ სომხეთში ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა განვითარებულიყო. პარტიათა ნამდვილი მოძრაობა და გავლენა სომხეთში არ ყოფილა, ისინი სრულებითაც არ აკავშირებდენ ხალხს. „დაშნაკცუტიუნის" და „მინჩაკისტების" პარტიებს ამ მხრივ არაფერი არ გაუკეთებიათ. გლეხები პარტიის ქვეშევრდომები იყვნენ და არა წევრები. როცა საჭირო იყო, მაშინ ჩასწერდენ თავის პარტიაში ხალხს და ამით თავდებოდა მათი კულტურული, პოლიტიკური და სხვ. მუშაობა. ამისთანა პირობები იყო, როცა 1917 წლის დიდმა რევოლიუციამ იფეთქა. ეს რევოლიუცია სრულებით არ შეხებია ეხლანდელ სომხეთს. იქ ისევ ძველებურად დარჩა ყველაფერი. მართალია, დაარსდა საბჭოები და სხვა კომიტეტები, მაგრამ მასსები ამ ორგანიზაციებს არ გამოუკვლია და ამ უკანასკნელთაც არ დაუკავშირია ხალხი. ამ საბჭოებში მოხვდენ ისევ სოფლის „კულაკები", მევახშეები და გლეხების მტრები. ამიტომ ხალხის მდგომარეობა ამით უფრო გაუარესდა, რადგანაც ეხლა უფრო მაგრად წამოიჭრენ კისერზე ხალხს წინანდელი მტრები. ძალა უფლება რუსის ძველ მოხელეებიდან მათ ხელში გადავიდა. როგორ უნდა გაუმჯობესებულიყო მაგალითად მიწის საკითხი, როცა ერთი სადგილ-მამულო გამგეობაში 4 მემამულე იყო. დანარჩენებში ისევ „კულაკები" ბატონობდენ. „დაშნაკცუტიუნის" პარტიაც გაჰყვა ამ მდიდრებს, ეს პარტია სოფლად და ქალაქად ამ „კულაკებისაგან" შესდგება. რევოლიუცია ვერ შეიგრძნო ამ გაუვითარებელმა ხალხმა. ამით ისარგებლა მხოლოდ ძველმა ბატონ პატრონებმა. ხალხში ვერ შეიქმნა ვერავითარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრი. ხალხი მთლად შეუკავშირებელია და წარმოდგენა არა აქვს უბრალო ორგანიზაციებზე. უბრალო გაფიცვაც ვერ [illegible] ტელეგრაფის თანამშრომლებმაც კი, რომელნიც უფრო დაწინაურებულ მოსამსახურეებად ითვლებიან.

თუმცა სომხეთი სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, მაგრამ იქ პური საკმაო არ მოდის. ყოველწლივ 17—20 მილიონი ფუთი შემოჰქონდათ რუსეთიდან. კავკასიის ფრონტის დემობილიზაციის დროს ჯარისკაცებმა შეჭამეს მთელი პური. ამ დამშეულ ქვეყანას ახლა მტერი შემოესია, ყველაზე ბარბაროსული მტერი—ოსმალეთი. ოსმალეთმა მთლად გაზიდა, რაც სურსათი იყო, მან გაძარცვა ხალხი და ამნაირად სომხეთი პირდაპირ დაცალიერდა. ოსმალეთის წასვლისას, სომხეთის მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიული იყო. სომხეთის მთავრობას უნდა მიეღო ტიტანიური ზომები, რომ მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრად გაუმჯობესებულიყო. მაგრამ ეს არ მოხდა. იმ თავითვე სომხეთის პარლამენტში (საბჭოში) ორი პოლიტიკა გამოირკვა. ჩვენ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია რიცხვით 6 კაცი, ვეუბნებოდით მთავრობას, რომ ხსნა არის თვით ხალხის ინიციატივის, თვითმოქმედების გაღვიძებაში, უნდა მიმართოთ ხალხს. მაგრამ დაშნაკლებმა და მათმა მთავრობამ ეს გზა, გზა დემოკრატიული უარჰყო და მის მაგიერ აირჩია გზა ბიუროკრატიულ-ნაციონალისტური, გზა რეაქციონური შოვინისტური, როგორც შეეფერება მის ბუნებას. დაშნაკცუტიუნის პარტია ერთიანად დაემორჩილა გაბატონებულ კლასებს, და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სომხეთის მთავრობა პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონურია. მან შექმნა ბიუროკრატია ათასჯერ უარესი, ვიდრე მყავდა ძველ რუსეთს. „სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკა" ეხლა ნამდვილად წარმოადგენს რამოდენიმე სამთავროებს. თითო სამთავროში ბატონობს ეგრედ წოდებული ხაზბაპეტი—უფროსი. ეს არის ამ მხარის ბატონ—პატრონი. ყოველგვარი ძალა—უფლება მის ხელშია. გლეხები მას მონებად ჰყავს გადაქცეული. ეს ხაზბაპეტები განაგებენ მთელ სომხეთს. მათ არავის არ ეშინიანთ და პასუხსაც არავის წინაშე არ აგებენ. ისინი იმოქმედებენ ერთმანეთში, ჰკრავენ ზავს, იღებენ მცხოვრებლებიდან ხარკს და სხვ. მთავრობა და პარლამენტი უძლურია მათ ებრძოლოს და არც სურს, რომ ებრძოლოს. მთავრობამ 40 მილიონამდე დახარჯა დამშეული ხალხის გამოსაკვებად, გახსნა სასურსათო პუნქტები, მაგრამ ანგარიში აქვს მხოლოდ 5 მილიონი მანეთისა, რომელიც მოხმარდა ამ საქმეს, დანარჩენი 35 მილიონი ამ ხაზბაპეტებმა, ლიაზორებმა (რწმუნებულებმა) მიითვისეს. ეს ხაზბაპეტები ბატონობენ თვით ერევანშიაც. ესენი ქეიფობენ იქ თავისი რაზმებით, ხარჯავენ ათასებს, მათ გვერდზე კი ხალხი მშიერი იხოცება. და ამ დამშეულ ხალხს არ შესწევს არავითარი ძალა, რომ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს ამ გაბატონებულთ, ან მთავრობა ჩამოაგდოს. ვერავითარ რევოლიუციას თქვენ სომხეთში ვერ მოახდენთ, რადგანაც ამისათვის არც ერთი პირობა არ არსებობს ჯერ. ამ ზამთარს შიმშილისაგან სომხეთში დაიხოცა 150.000 ადამიანი. მთელ სომხეთში ყოველ დღე იხოცება 2.000 კაცი. რა მოხდება ზაფხულში, როცა ხოლერა იფეთქებს—არავინ უწყის.

ბოლოს თვით მზრუნველობის მინისტრმა განაცხადა, რომ ერთად-ერთი საშუალება, რომ ბოროტმოქმედებას მოესპოს სასურსათო პუნქტებში ეს ისაა, რომ ყველა სასურსათო პუნქტები დაიკეტოს. მთავრობის გვერდზე და თვით მთავრობაში სხედან ქურდები, ავაზაკები და ხალხის მძარცველები და მთავრობას ძალა არ შესწევს მათი გარეკვისა, ან დატუსაღებისა, ან სამართალში მიცემისა. იქ მთელი სამინისტროები მისაცემია სამართალში. ქურდები ვერ დაუთხოვიათ სამსახურიდან. მაგალითად ერთი მათგანი რომ დაეთხოვათ, უნდა მიეცათ კიდევ 6 თვის სალიკვიდაციო ფული, რომ ის წასულიყო. მაგრამ ყველაზე დიდი ბოროტმოქმედება და თვითნებობა სუფევს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამ სამინისტროს სომხეთში უწოდებენ პირდაპირ „ოპრიჩნინა", იოანე მრისხანის წესები. პარლამენტი სომხეთში პირდაპირ გაუგებრობაა. მას კი არ ემორჩილება მთავრობა, არამედ ის ემორჩილება მთავრობას. პარლამენტში გაბატონებულია დაშნაკლების პარტია, მათ მხარს უჭერენ ეგ. წოდ. ჟოღ-ჟოღოვრდაკანები, ანუ კადეტები და მუსულმანთა 5 წარმომადგენელი. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, 6 კაცი და ესერებიც 6 კაცი ვეწინააღმდეგებით ამ რეაქციონურ ბლოკს, მაგრამ რას გახდები ამისთანა პარლამენტში, სადაც იარაღით გემუქრებიან. და როცა შეიტყვეს, რომ ჩვენ იარაღისაც არ გვეშინიან, პარლამენტი დაითხოვეს. პარლამენტი იქ არსებობს იმისთვის, რომ უცხოელებს დაანახონ, რომ პარლამენტი გვაქვს, სადაც მთელი ხალხია წარმოდგენილი. პარლამენტი [illegible] არ აგებს პასუხს, ის თითონ სცემს კანონებს. ხალხი ემორჩილება მას იმიტომ, რომ არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. ხვალ რომ 800 კაცმა გაჰყაროს ეს მთავრობა და მისი პარლამენტიც, მაშინ ხალხი ამ 800 კაცს დაემორჩილება.

მთავრობა აწარმოებს ნაციონალისტურ პოლიტიკას, უკეთესი იქნება ვსთქვათ, რომ მას ძალა არ შესწევს რეაქციონურ-ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოებისაც კი. იმის მაგიერ, რომ ოსმალეთის წასვლის შემდეგ მთავრობა მუსულმანებს დაახლოვებოდა, რადგანაც ეს მუსულმანები ისევე იტანჯებოდენ ოსმალეთის უღლის ქვეშ, როგორც სომხები, დაახლოვების მაგიერ ორივე ერის ნაციონალისტებმა მთავრობის დახმარებით გააჩაღეს ომი და მთელი სოფლები ცეცხლს მისცეს. მუსულმანებს პურის მიწოდება შეეძლო სომხებისთვის და ასე განადგურებოდა შიმშილი, ამის მაგიერ პოგრომები ატყდა. ასევე დაიწყეს ომი საქართველოსთან. სანამ ომი დაიწყებოდა, 4 დღის წინ მთავრობის თავმჯდომარემ დიდის რიხით განაცხადა, რომ საქართველოსთან თავის დღეში ომი არ მოხდებაო. ომის საკითხი პარლამენტში არ დასმულა. ჩვენ რომ ხმა ამოვიღეთ „საქართველოს აგენტები" გვიწოდეს. 4 დღის შემდეგ კი შემოტევა დაიწყეს. ამ ომში საქართველოს მთავრობაც რომ მტყუანი ყოფილიყო, მაინც უნდა წასულიყო სომხეთის მთავრობა დათმობაზე, ისეთი ტრაგიკული მდგომარეობა იყო სომხეთში, მაგრამ მან ეს არ ქნა. შედეგად კი ამ ომს ის მოჰყვა, რომ საზღვრები საქართველოსთან დაიკეტა სამი თვით და ის პური, რომელიც სომხეთს შეძენილი ჰქონდა რუსეთში ველარ გამოატარა საქართველოზე და ასე სომხეთი უფრო დაიმშა თავისი მმართველების ასეთი რეაქციონერ იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით.

თუ რაიმე შეკითხვა შეჰყავს პარლამენტში, ამ შეკითხვებს არავითარი შედეგი არ მოაქვს. ყველაფერი თავდება რევოლვერებით. ტერორი გამეფებულია მთელ ერევანში.

მთავრობის დეკლარაციიდან არც ერთი რეფორმა არაა გატარებული. ერთმანეთზე არიგებენ ზრუნვას, სოციალ-დემოკრატები როცა შევეკითხეთ მთავრობას, რატომ არ ატარებს ის რაიმე რეფორმებს, მთავრობის თავმჯდომარემ გვიპასუხა—ჯერ წესიერება და შემდეგ რეფორმებიო.

ხალხს არ შესწევს უნარი უბრალო უკმაყოფილების გამოსათქმელად, არამც თუ აჯანყებისა. მიუხედავად ამისა მთავრობა აცხადებს ხოლმე, რომ ამა და ამ ადგილას ანარქია არისო. ეს მაშინ ხდება, როცა თავის კაცისათვის ახალი თანამდებობის მიცემა მოუნდებათ და ნიშნავენ ამ კაცს გენერალ-გუბერნატორად.

ტრაგიკულია სომხეთის ბედი. თუ ასე გაგრძელდა, ხალხი მთლად გასწყდება. უპირველესად ყოვლისა ხალხს პური უნდა. ნახევარი მიწები წრეულსაც დაუთესავია. უნდა მილაგნოს დაშნაკლების პოლიტიკას. ხსნა ამაშია. თუ სომხეთში დაშნაკლების ბატონობა არ მოისპო, ისე ძნელია ამიერ-კავკასიაშიც რაიმე ბედნიერების დამყარება. როგორც ძველი რუსეთი იყო მთელი ევროპის ჟანდარმი, ისე დაშნაკცუტიუნის ბატონობა სომხეთში მუდმივი საფრთხე იქნება მთელი ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისთვის. ამიტომ სომხის სოციალისტებს თქვენ უნდა დაგვეხმაროთ რითაც კი შეგეძლებათ, რომ იქ ჩვენ გავძლიერდეთ და ისე დაუპირდაპირდეთ დაშნაკლებს. ივნისში დანიშნულია ახალი არჩევნები პარლამენტისა და უნდა ვეცადოთ, რომ იქ ჩვენ საკმაო დეპუტატები გავიყვანოთ. ხალხი აპოლიტიკურია, ვინც გააძლიერებს კულტურულ მუშაობას, იგი მას წაჰყვება. 80 კაცში 10 კაცი რომ გავიყვანოთ, ისიც კარგია. უნდა უფრო დავუახლოვდეთ ერთმანეთს რესპუბლიკები, შევკრათ კავშირი და შეერთებულად ვიბრძოლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიარსებებთ და დამარცხება მოველის.

ოსმალეთის სომხეთში 600,000 მცხოვრებია. სოციალ-დემოკრატების აზრით მათ საქმეებში არ ჩავერიოთ, რადგანაც აქამდე სომხებმა ამ ჩარევით დიდი ზიანი მიაყენა მათ.

საქართველო სომხეთის ომის წინ დაშნაკლებმა სომხები მოწამლეს. ყველა ამბობდა, რომ ქართველები თურქებზე უარესებიაო.

მაგრამ ომის შემდეგ ხალხმა ისევ დაივიწყა ეს ნაციონალური შუღლი, როგორც მალე შეიტყვეს. ხალხის გულში ნაციონალური შუღლი არ ბუდობს. კავკასიის ხალხები ერთმანეთს ადვილად დაუახლოვდებიან, თუ ნაციონალისტების გავლენა მოისპო. სომხეთში და აზერბეიჯანში სუფევს ეს ნაციონალისტურ-შოვინისტური პოლიტიკა. უნდა ეს პოლიტიკა შეიცვალოს დემოკრატიულ [illegible] ამიერ-კავკასიის ერების ბედნიერება.

დასასრულ ლექტორს სხვადასხვა შეკითხვები მისცეს, რაზედაც მან პასუხი გასცა.

X.

უკანასკნელი ცნობები

ახალციხის მხარეში.

ახალქალაქის რაზმის უფროსის ცნობით 9 აპრილს 22 საათზე 55 ცხენოსანი თათარი დაეცა სოფელ პატარა ყარაზანს (რომელიც მდებარეობს ორი ვერსტის მოშორებით სოფ. დიდი ყარზახიდან, სადაც სადარაჯოებია) თათრებმა იქ მოჰკლეს ერთი სომეხი, დასჭრეს ორი დედაკაცი, გაძარცვეს ორი სახლი და ისევ წავიდნენ საზღვარზე. მოლაშქრეებმა, რადგანაც მეტად მცირე იყვნენ რიცხვით, ვერ შესძლეს სოფლისთვის დახმარების გაწევა.

ბათუმი, აპრ. 12. ქალაქის თვითმართველობის ჩარევის გამო გაფიცვა 11 აპრილს დასრულდა. გუბერნატორმა გაანთავისუფლა 25 კაცი. დანარჩენს ექვსს გაანთავისუფლებს მხოლოდ გამოძიების შემდეგ.

ტფილისი, აპრ. 12 ახალციხის ამბების გამოსაძიებლად დანიშნულ დამფუძნებელ კრების კომისიის თავმჯდომარემ ახალციხის ფრონტის მთავარ-სარდალის გენ. კვინიტაძისაგან შემდეგი დამატებითი ცნობები მიიღო: „ჩვენი ჯარის შეტევამდე ახალციხის მაზრაში განადგურებულია 12 ქართული სოფელი და მაჰმადიანთა ერთი სოფელი. ცოტათ დაზიანებულია 12 სოფ., რომელშიაც განადგურებულია მხოლოდ ქართული ნაწილები, მაჰმადიანთა კი 2 სოფ. შეტევის შემდეგ განადგურებულია მაჰმადიანთა 1 სოფ. ცოტათ დაზიანებულია მაჰმადიანთა 16 სოფ. ახალქალაქის მაზრაში განადგურებულია 10 ქართული სოფელი, ცოტათი დაზიანებულია 3 ქართული სოფ. თებერვლის 11-დან დღევანდლამდე მაჰმადიანთა სოფლები არ დაზიანებულა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

12 აპრილი

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. აპრილის 11. სამხრეთის ფრონტი. იუზოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბეშევო და კარამეშევო დაიჭირა. ბახმუტის რაიონი. დავიჭირეთ ფედჩენკა. ლუგანის რაიონში ჩვენმა ჯარმა სად. ლაფიროვკა დაიჭირა. მილეროვის მიმართულებით მტერი ეცადა მდ. დონეცის მარცხენა ნაპირზე გადასვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის, სტერლიტამაკის და ორენბურგის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ბუგურუსლანის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბუგურუსლანის აღმოსავლეთით უკან დაიხია. ბუგურუსლანთან ბრძოლა გრძელდება. მენზელინის რაიონში ჩვენ ჯარს კამის მარჯვენა მხარეზე ელაბუგიდან კარაკულინამდე პოზიციები უჭირავს. სარაპულის რაიონში ჩვენმა ჯარმა სარაპულიდან 10 ვერ. დაიხია და ახალი პოზიცია დაიჭირა.

ნაუენი, აპრ. 10. ბრაუნშვეიგში საერთო გაფიცვები დაიწყო. მუშები მოითხოვენ ლანდტაგის დათხოვნას და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან კავშირის დაჭერას. ბრაუნშვეიგში ამ ჟამად ძალა უფლება გაფიცვის მომწყობ კომიტეტის ხელშია. მოძრაობას ხელმძღვანელობენ კომუნისტები. ბერლინში სპარტაკელთა გამოსვლებს ხელმძღვანელობს ეიხჰორნი, სახალხო დაცვის ყოფილი უფროსი.

გერმანული პრესის ცნობები.

ვიურტენბერგის, ბადენის და ჰესსენის მთავრობებმა ერთად განაცხადეს, რომ ბავარიის ერთად ერთ სახალხო მთავრობად ისინი აღიარებენ ჰოფმანის მინისტრთა კაბინეტს. მდგომარეობა მაგდებურგში გაუმჯობესდა. [illegible] ახლოს ყაჩაღებმა გატეხეს პურის საწყობები და გაძარცვეს.

საქსონიის ქვა ნახშირის ოლქში გაფიცვები იზრდება. მუშებმა ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი წარადგინეს. მოხდა დემონსტრაციები.

ლეიპციგში სოც.-დემ. პარტიის გამგეობა მუშებს აფრთხილებს საერთო გაფიცვას არ შეუერთდნენ.

გაძლიერებული სამხედრო წესები გამოცხადდა დიუსელდორფში, ესენში და მის მიდამოებში. მოხალისეთა კორპუსები ესენში შევიდა და რამოდენიმე კაცი დააპატიმრა. მოხალისეთა კორპუსს რამოდენიმე კაცი მოუკლეს.

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვი არ გადიდებულა. რურის ოლქში მრავალ მაღაროში შაბათს მუშაობა განახლდა. მიულჰეიმში 55 სპარტაკელთა დაპატიმრების გამო პროტესტის ნიშნად გაიფიცნენ ყველა საწარმოოების მუშები. [illegible] და ახლო მახლო ქალაქები ამის გამო მოკლებული არიან წყალს, გაზს და ელექტრონის ენერგიას.

მაგდებურგში მდგომარეობა თანდათან რთულდება. შეიარაღებულმა მძარცველებმა [illegible] და 700,000 მარკაზე მეტი ზარალი მიაყენეს. მაგდებურგის პოლიციის უფროსი, დამოუკიდებელი სოც.-დემ. ფატერი, რომელსაც ამბოხებაში მონაწილეობის მიღება ბრალდება, სამსახურიდან დაითხოვეს. გაზეთები იხსენიებენ, რომ ფატერი წინათ სასტუმროს პატრონი იყო და დამოუკიდებელთა სასარგებლოთ აგიტაციას ეწეოდა. ფატერმა რევოლიუციის მეორე დღეს განაცხადა, რომ დამოუკიდებლები ეხმარებოდენ დეზერტირებს, ფულს აძლევდენ მათ და ფრონტზე აბრუნებდენ, რომ დისციპლინის დასაცემად გამოეყენებინათ.

სამშაბათს ღამე ბრბო ეცადა იერიშით აეღო ქალაქის თვითმართველობის შენობა, მაგრამ უკუ აქციეს. ღამე მოხდა სროლა, რომლის დროს 1 მოკლეს, რამდენიმე დაჭრეს, ოთხშაბათ დილით მაგდებურგში შევიდა მინ. ნოსკეს მიერ გამოწვეული მთავრობის ჯარი, რომლისთვისაც სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ფრანგული პრესის ცნობები.

სომხეთის დელეგაციამ საზავო კონფერენციაზე პარიზში ამიერ-კავკასიიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: ამიერ-კავკასიის ს ეხობას სერიოზული საფრთხე მოელის. მაჰმადიანებმა თავი მოუყარეს საკმაოდ დიდ ჯარს, რომელიც ოსმალო ოფიცრების ხელმძღვანელობით შესდგა შარურსა, ნახიჩევანსა, სურმალუსა და ყარაბაღში. ამ ჯარებმა იარაღი აჰყარეს ადგილობრივ სომეხთ ძალებს და გამოაცხადეს, რომ ოლქი ადერბეიჯანის მთავრობას ემორჩილება. მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება. საჭიროა მოკავშირეთა მთავრობებმა სწრაფი ენერგიული ზომები მიიღონ, რომ თათრები შეაჩერონ, თავიდან აიცილონ სისხლის ღვრა და მოსალოდნელი მდგომარეობის გართულება... (გაუგებარია) საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი მიუთითებს რა ამაზე სომხეთის დელეგაციას და ზოგითვე მოკავშირეთა მთავრობებს, სთხოვს მათ დაუყოვნებლივ მიიღონ აუცილებელი ზომები. ამიერ-კავკასიაში ოსმალთა ოფიცრების ყოფნას შეუძლია მოჰყვეს სერიოზული შედეგები საჭიროა მოხდეს სომხეთის ჯარის რეორგანიზაცია, რომელიც ერთად ერთი წესიერების დამცველი ელემენტია.

ინგლისური პრესის ცნობები.

მიუხედავად ლოიდ ჯორჯის და [illegible] ავადმყოფობისა, ზავის პირობების შემუშავების საქმე კარგად მიდის. საერთო აზრი ისეთია, რომ ზავს ამ თვეშივე მოაწერენ ხელს. უთანხმოება აღარ არსებობს.

დღემდე გერმანიაში საბჭოთა რესპუბლიკები დაარსდა მხოლოდ—პასაუში, აუგსბურგში, რატისბონში და ანსბახში. პრემიერ ჰოფმანმა, რომელმაც ბავარიის ლანდტაგისაგან მიიღო მანდატი, ენერგიულად ადგენს ახალ კაბინეტს და აცხადებს, რომ ლანდტაგი 12 დღის შემდეგ შეიკრიბება ბამბერგში, ბავარიის ჩრდილოეთ ნაწილში. ბერლინში უარს აცხადებენ იცნონ მიუნხენის მთავრობა.

პრაღიდან იუწყებიან, რომ სოციალისტების პირველი მიტინგი მოხდა ორშაბათს. მიტინგს მრავალი ხალხი დაესწრო. ორატორები მოითხოვდნენ მოკავშირეებთან კავშირის დაცვის აუცილებლობას. შეთანხმება ბერლინთან, ბუდაპეშტთან და მოსკოვთან რესპუბლიკისათვის დიდი საფრთხე იქნება. მუშათა კლასმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ პროლეტარიატისთვის დამღუპველია ბოლშევ რი რეფორმები.

ახალი ამბები

მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი. 10 აპრილს, შესდგება მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირ კომიტეტში 15 წევრი. კომიტეტმა ა ჩია პრეზიდიუმში: თავმჯდ. ვ. სურ ლაძე, თავმჯდ. ამხანაგებად: ე. ელ ვასა და ა. ქავთარაძისა. ხაზ რად ნ. გიორგაძისა. მდივნათ გ. ვე შელი. კომიტეტმა დაადგინა მოაწ შემოწირულებათა მოსაკრებად მე ჯავახეთის საგანგებო დღეები და მო ცეს საგანგებოდ ერთი ნომერი ზეთი „მესხეთ-ჯავახეთი"-სა. კომი ტი ხ ნის თავის განყოფილებებს საქ თველოს დანარჩენ ადგილებშიც. კ ტეტი იღებს შემოწირულებებს თ ბინაზე: გოლოვინის ქუჩა, № 24 დ 11 საათიდან—8-მდის ხაზინადართ საქმის მწარმოებელთან. კომიტ უკვე მიიღო პირველი შემოწირუ მიტროფანე ლაღიძისაგან 2,000 მან.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრ დღეებში წარუდგა საგანგებო დელ ცია, სომეხთა ეროვნულ საბჭოსაგან ქართველოში და სთხოვა მას გან სუფლება იმ სომეხ ტუსაღთა, რომ თაც ბრალი ედებათ სომეხ ქართველ ომის დროს აჯანყების მოწყობა. მ სტრი დაპირდა მათ, რომ ახლო ვალში ის წარუდგება დამფუძნებ კრებას მოხსენებით, რომ ისინი გა ვისუფლებულ იქნან.

◆ ბეჭდვითი საქმის მუშათა ფესიონალური კავშირის წევრთა ს გადო კრება შესდგება დღეს, დ 10 საათზე სახალხო უნივერსიტ შენობაში (მ. ხ. პრ. № 91).

◆ 26 მაისისათვის. ორშაბათს, აპრილს საღამოს 6 საათზე სასა დამფუძნებელი კრების თავმჯდომ დარბაზში დანიშნულია სხდომა დამ ნებელი კრების ხელოვნების კომის კულტურულ დაწესებულებათა და ლოვნების საზოგადოებათა თანა რებით. განხილულ იქნება საქართ ლოს დამოუკიდებლობის გამოცხად 26 მაისის დღესასწაულის გამარ საკითხი.

◆ იუსტიციის სამინისტრომ გ არებით სთხოვა შინაგან საქმეთა ნისტრს, რათა საქართველოს სა ბის და ქალაქის თვითმართველო ცირკულიარულ წინადადება მი დაავალონ ნაფიც მსაჯულთა სი სიების შედგენა და სათანადო სასამართლოებისათვის გადაცემა.

— იუსტიციის სამინისტრო ი ვებს მთელ რიგს ღონისძიებათა რიატ-მოქმედებასთან ბრძოლის გ ლიერებლად. განზრახულია საგ ძიებლო აპარატის გაძლიერება გ ძიებელთა რიცხვის გამრავლებით.

◆ სომეხთა ეროვნულ საბჭოში დღეებში ანანოვის სახელობის ქ გიმნაზიაში აირჩიეს მზრუნველი, ლიც დაამტკიცა სომეხთა კათალიკ სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ეს მტკიცება უკანონოთ იცნო და და მზრუნველს განუცხადეს საეპ უფროსს, რომ ის ემორჩილება ნულ საბჭოს დადგენილებას და კათალიკოსისას. ეროვნულმა ს დაავალა თავის აღმასრულებელ ტეტს მოახდინოს ახალი არჩევნები.

◆ ახატიანის ლექცია. კვირას, აპრილს, დილის 11 საათზე, სა სახლში სომხეთის პარლამენტის წ ამხ. მაიკ ახატიანი წაიკითხავს სი ენაზე შემდეგ მოხსენებას: „საზოგ ებრივი და პოლიტიკური ცხ სომხეთში". მოხსენების შემდეგ გ თება კამათი. შესავლელი 2 მან.

◆ ბაქოში. 7 აპრილს გაიხსნა ამ კავკასიის, ამიერ-კასპიის და დაღ ნის პროფესიონალურ კავშირთა წ მადგენლების ყრილობა. დაესწრო დამწყვეტის ხმით 82 დელეგატი, სა ბირობით—89.

◆ საღამო-კონცერტი. დღეს 1-ლი რაიონის მუშათა კლუბში (ნაძალადევის თეატრი) გაიმართება 1-ლი რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის სასარგებლოდ 1-ლი რაიონის სარევოლუციო მომღერალ-მგალობელთა მიერ ახალგაზრდა მუსიკოს გ. სვანიძის ხელმძღვანელობით. დაიწყება საღ. 8 საათზე.

◆ დ. გალში 14 აპრილს გაიხსნება სამურზაყანოს ერობის პირველი ყრილობა.

◆ მუშათა კლუბში ვერაზე 13 აპრილს გაიმართება საღამო მეჯლისი, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ფრონტზე მყოფ მეოთხე რაიონის სახ. გვარდიელთა სასაჩუქრებისათვის.

კ რ ე ბ ე ბ ი

დღეს, დილის 11 საათზე ს. ს. დ. მ. პარტიის მესამე რაიონის კოლექტივის ბინაზე შესდგება ავლაბარში და მის ახლო მახლო უბნებში მცხოვრებ პარტიულ ამხანაგებთა საზოგადო კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე, ორთაჭალის მუშათა კლუბის შენობაში დანიშნულია საზოგადო კრება მე 6 რაიონის კოლექტივის ს. ს. დ. მ. პ. წევრებისა.

— დღეს, დღის 1 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება ახალგაზრდა მარქსისტებისა ავლაბრის მე-3 რაიონში.

— დღეს, 13 აპრილს, 4 ს. დანიშნულია მე 4 რაიონის ახალ. მარქს. ორგან. კოლექტივის სხდომა.

— დღეს, დილის 10 საათზე, მუშტაიდის კლუბში დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების წევრთა და თანამგრძნობთა კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე, ახალგ. მარქ. ორგან. ცენტრ. კომ. ბინაზე (საპიორის ქ., ტოპოგრაფის და ელექტრიტორის ტუპიკების კუთხე, № 2), დანიშნულია წრეების ხელმძღვანელთა კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ქუთაისი. 5 აპრილს შესდგა განახლებული საბჭოს სხდომა. არჩეულ იქნენ ფრაქციათა შეთანხმებით საბჭოს თავმჯდომარეთ შ. სანებლიძე (ს. დ.) მის ამხანაგებათ: გ. ქორქაშვილი (ს. ფ.), და ალ. თორაძე (ნ. დ.), ქალაქის თავად დიმ. ი. კალანდარიშვილი (ს. დ.), გამგეობის წევრებათ; ა. ს. მეფისაშვილი (ს. დ.), ალ. ო. ჯაფარიძე (ნ. დ. და ლ. ქორქაშვილი (ს. ფ.). გამგეობის მეხუთე წევრის არჩევა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის; საბჭოს მდივნათ არჩეულ იქნა ი. ბახტაძე (ს. დ.), გამგეობის მდივნათ დ. ჯაველიანი (ს.-ფ.)

მთავრობაში

— სანამ ხარჯთ აღრიცხვა დამტკიცდებოდეს, გადაიდოს მის ანგარიშში, ათ მილიონიან ფონდიდან 60,000 მანეთი ტყეთა მოწყობის პარტიების სასარგებლოდ.

— 1) სახელმწიფო სამოქალაქო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ჯამაგირების განზრახულ მომატების რაოდენობის საერთოდ გადაწყვეტამდე მიეცეთ აპრილში სახელმწიფო სამოქალაქო დაწესებულებებში მოსამსახურეთ, რომელთაც ამ წელში ჯამაგირები არ მომატებიათ, ამ მომატების ანგარიშში სამას-სამასი მანეთი თითოეულს.

2) ამ დადგენილებით გამოწვეული ხარჯები დაიფაროს სახელმწიფო ხაზინის ნაღდ თანხიდან. სახელმწიფო ხაზინა ვალდებულია ამ დადგენილების ძალით გამოწერილი ჯამი გადიხადოს კრედიტის გახსნამდე.

3) ამ სახის კანონპროექტი დამფუძნებელ კრებაში შეიტანოს შრომის მინისტრმა.

4) აგრეთვე ახლო მომავალში შეტანილ იქნას შრომის მინისტრის მიერ კანონპროექტი 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების შეღავათიან ფასებში შესაძენად.

ლანჩხუთლების საყურადღებოთ

მე ვინახულე მიწათმოქმედების მინისტრი და მოველაპარაკე ყველა იმ კითხვების შესახებ, რომლის გამორკვევა თქვენ დამავალეთ:

1) მინისტრი სასწრაფოთ მოახდენს განკარგულებას, რომ ლესნიჩმა ლაგრეოვმა ხელი არ შეუშალოს ვინმეს იმ საყანე მიწების დათესვა-დამუშავებაში, რომელიც ჩამორთმეულ ტყის ფარგალში შეიყვა.

2) სადავო ნორმა სამინისტროს არ შეუმუშავებია, იმ სახით, როგორც ეს თქვენთვის გადმოუციათ. მინისტრის განმარტებით სადავო ნორმა არ უნდა აღემატებოდეს მოსავლის ერთ მეათედს. გადახდა ფულით თუ ნატურით დამოკიდებულია ყანის დამმუშავებლებზე. გინდ ფულით გადაიხადოს ეს ერთი მეათედი, გინდ ნატურით.

3) მოხდენილ იქნება აგრეთვე სასწრაფო განკარგულება მემამულეთა ნორმის ფაქტიურათ განსაზღვრის შესახებ,

დამფუძნებელ კრების წევრი—გრ. ურატაძე.

იოსებ ზერუჩევი

დღეს შესრულდა 40 დღე, რაც [illegible] ამხ. იოსებ ზერუჩევი ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელად მოსწყვიტა სიყმილან შეთვისებულ ამხანაგებს. ამხ. იოსები 1899 წლიდან უკანასკნელ წუთამდე ემსახურებოდა პარტიას. მან მხნეთ გადაიტანა რეაქციის მწვავე სუსხი, 1907 წელს მას აპატიმრებენ, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს და ათავსებენ მეტეხის ციხეში. 8 თვის შემდეგ ასახლებენ არხანგელის გუბერნიაში. თავისუფლების მოტრფიალე იოსები ვერ იტანს რუსეთის მკაცრ ბუნებას და გამორბის იქიდან, მალულად ცხოვრობს ყარსის ოლქში, შემდეგ ბრუნდება სამშობლოში. რუსეთის რევოლუციის შემდეგ 68 წლის მოხუცი უფრო ენერგიულად განაგრძობს მუშაობას. მას ვხედავთ კოლექტივში და სხვა დაწესებულებებში დაუღალავ მუშაკად.

დღეს მე 6 რაიონის კოლექტივი უხდის მას სამოქალაქო პანაშვიდს, რაც მოწმობს იმას, რომ ღირსეულად აფასებს და პატივს სცემს [illegible] მოხუცის ხსოვნას. ნაპერწკალი.

საყურადღებო განცხადება

დამფუძნებელი კრების სოც. დემ. ფრაქცია განცხადებით მოუწოდებს საზოგადოება-დაწესებულებებს და კერძო პირებს ხელი შეუწყონ დამფუძნებელი კრების ნაყოფიერ მუშაობას. მე ბევრჯერ და ბევრისაგან მსმენია საყვედური, ესა და ეს დაწესებულება, ან ესა და ეს მთავრობის წარმომადგენელი ხალხის საზიანოთ მოქმედობსო. ამდენ ხანს თუ ვსდუმდით და ჩვენსა და ხალხის გასაჭირს, ხალხის ინტერესების აბუჩად აგდებას არ ვამხელდით, საბედნიეროდ დღეს გვაქვს უმაღლესი დაწესებულება და ყველა ჩვენგანი ვალდებულია ხელი არავის დაუფაროს, ყველა მოქმედებას კრებაში ჩაუდგეს და თუ შენიშნავს სიმართლის გათელვას, დაასაბუთოს და მოახსენოს დამფუძნებელ კრებას. ხალხის ინტერესების დამცველი ამ ჟამად ისე უნდა მოიქცეს, როგორც ვიქცეოდით სახელმწიფო დუმის არსებობის დროს და აქ ჩვენს დეპუტატებს მაშინაც ვატყობინებდით ჩვენს გასაჭირს.

მკურნალმა რა ქნას თუ მას ავათმყოფი თავის გასაჭირს არ ეტყვის. დამფუძნებელი კრებაც ხალხის მკურნალია და გასაჭირის დროს მას უნდა მივმართოთ, ჩვენი სენი გავაგებინოთ და წამალს ის გამოგვიწერს.

ამ. წულაძე.

დ ი დ ე ბ ა

სიცოცხლის ფიალი აივსო სისხლით,
ცხოვრების ყვავილებს ქარიცეცხლი სწვავს,
სნეული ქვეყანა ითვრება ზიზღით,
ითქება, იხრწნება, იხრჩვება,—სვამს!
—სალამი, სალამი აღსასრულ ჟამს!

ყვავილდა ოცნება—დამწიფდა ნაღველი,
ლეში და სიმყრალე აშხვენებს ველს,
დაიმსხვრა მიზანი მზის გამომსახველი,—
გავგიჟდით, დავეძებთ ჩვენ განსაცდელს.
—დიდება, დიდება, დიდება გველს!

ვიყავით ცაშიო,—ვგალობდით სიყვარულს,
დავეცით,—ტაძარი ავუგეთ შურს,
წამების გვირგვინი დავადგით სიხარულს
და კუპრის ფსალმუნით ვლოცულობთ პურს.
—თაყვანი, თაყვანი, ხალხს უსუსურს!

სისხლისა ნადიმზე, ქვეყნისა ჩხლეები
სძაგნიან, კორტნიან ერთიერთისა თვალს,
ხარობენ გიჟები, ლაღობენ ბეცები,
ახალი წარღვნისა ანთებენ ალს...
—კურთხევა, კურთხევა, კურთხევა ხმალს!

სუფევდა სამშობლო:—შრომა და ერთობა,
დავამხეთ, ავსტეხეთ ცრემლისა ზღვა
და გვინდა მეფობა, და გვინდა ღმერთობა,
რომ ტანჯვის უფსკრულში ჩავძიროთ სხვა.
—ესროლეთ, ესროლეთ, ესროლეთ ქვა!

ქვეყანას აჰრჩობენ დღეს „სპეკულიანტები",
პორფირი ყაჩაღებს დავუთმეთ მთლად,
ჩვენ გავხდით ჩონჩხები, ჩვენ დავრჩით ლანდები,
(დაგვმარხეთ, სამარე თუ არის მზათ!.)
—შენდობა, შენდობა, შენდობა მათ!

სად არის მიზანი, სად არის ნუგეში?
სიმართლე, სინათლე, მზე სიცოცხლის?
ოცნების ბაღნარში, ოცნების ჩხარეში,
სისხლი და ნაღველი, ზღაპრი სდის.
—ილოცეთ, ილოცეთ, ილოცეთ ის!

სიცოცხლის ფიალი აივსო სისხლით,
ცხოვრების ყვავილებს ქარიცეცხლი სწვავს,
სნეული ქვეყანა ითვრება ზიზღით,
ითქება, იხრწნება, იხრჩვება—სვამს.
—სალამი, სალამი აღსასრულ ჟამს!

ნ. ჩხიკვაძე.

სახალხო მასწავლებელთა შორის

მარტის 27 შესდგა ოზურგეთის რაიონის მასწავლებელთა კრება. დაესწრო 125 მასწავლებელი.

გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს პ. თოთიბაძე და აღნიშნავს, რომ მასწავლებლებს უკვე ხუთი თვეა ისედაც მცირე ჯამაგირი მიუღებელი აქვთ და ამიტომ პირდაპირ კრიტიკულ პირობებში არიან ჩაყენებულნი. ჯამაგირების დროზე დარიგებისთვის ხელი შეუშლია გარეშე მტრების თავდასხმას და ამ ჟამად კი მთავრობას შესაძლებლად დაუნიშნავს დაარიგოს მასწავლებლებზე ორი თვის ჯამაგირი. ბევრ რაიონებში აღძრულა გაფიცვის საკითხი, მაგრამ გურიაში ჯერ-ჯერობით გაფიცულა მხოლოდ [illegible] რაიონი, რომელიც მოითხოვს მხარის დაჭერას. მომხსენებელი მოუწოდებს კრებას დინჯათ და დამშვიდებით იმსჯელონ მწვავე საკითხებზე, რომ გაუთვალისწინებელი ნაბიჯებით არ გააფუჭონ ისედაც აწეწილი მდგომარეობა. სიტყვას ღებულობს მთელი რიგი ორატორებისა და ერთხმად გმობს ყოველგვარ გაფიცვას, ვინაიდან ასეთი გაფიცვები უნებლიეთ დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ იქნება მიმართული, რაც დიდს საპროვოკაციო მასალას მისცემს საქართველოს მტრებს. ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „1) ეთხოვოს სამაზრო ერობის გამგეობას, რათა მან ყოველი ღონე იღონოს მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად წარსული ჯამაგირებით; 2) ვინაიდან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლები 1 სექტემბრიდან 1918 წლისა ამავე წლის ბოლომდე ღებულობდნენ თვეში რაღ 825 მანეთს, ე. ი., გაცილებით ნაკლებს, ვიდრე დაბალი სკოლის მასწავლებლები და ეხლა დავალიანებულნი უმწეო მდგომარეობაში არიან, ეცნობოს ეს ყოველივე სამოსწავლო მთავრობას, რათა უკანასკნელმა პირველ რიგში დააკმაყოფილოს აღნიშნული მასწავლებლები გასული წლის ჯამაგირების განსხვავებით. მეორე საკითხი იყო ინსპექტორის სულაძისა და ქუთაის ინციდენტი. კრებამ, მოისმინა რა ორივე მხარე, დაადგინა: „გაეცნო რა მასწავლებელთა ყრილობა ქუთაის-სულაძის ინციდენტს აღიარებს, რომ ზნეობრივი სიმართლე სულაძის მხარეზეა, რის გამოც გმობს ქუთაის საქციელს და სთხოვს მთავრობას დანიშნოს ამ საქმეზე საგანგებო გამოძიება, მანამდე კი სამინისტროს განკარგულება შეაჩეროს".

სამხარო ცენტრის შესაქმნელად კრებამ აირჩია დელეგატებად ი. მელიქიშვილი, მ. რამიშვილი, პ. თოთიბაძე, ფ. ქარცივაძე, კ. ბარამიძე და ს. ზურაბაშვილი. სარაიონო კავშირის თავჯდომარე პ. თოთიბაძე აცხადებს, რომ უფლებო მასწავლებელნი ვალდებულნი არიან გამოცდა ჩააბარონ სპეციალურად დაარსებულ გამომცდელ კომისიაში.

არა სრულ უფლებიანი უ. დაწ. სასწავლებელთა მასწავლებლების პირადი ღირსების გაცნობის შემდეგ ერობას უფლება აქვს იშუამდგომლოს ასეთების თანამდებობაზე დამტკიცებისათვის. სხვათა შორის აღნიშნულ იქნა სკოლებში სწავლა წარმატების დონის დაცემა და საერთოდ სკოლის დაკნინება: კრება საჭიროდ აღიარებს ენერგიული ზომების მიღების სკოლის ასამაღლებლად და ავალებს წევრებს არ მისცენ საკმაოდ მოუმზადებელ ბავშვებს სკოლის კურსის გათავების მოწმობები.

დასასრულ კრებამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას და აუწყა მას, რომ სახ. მასწავლებლები მზათ არიან ამ უძიმეს მომენტში დაიცვან სრული მყუდროება და გაორკეცებული ენერგიით იშრომონ სკოლის ასაღორძინებლად. დამსწრე.

პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია

11 აპრილი.

11 აპრილს 1 საათზე თფილისში გაიხსნა პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია. დაესწრო 200 დელეგატი.

კონფერენცია გახსნა კავკასიის ცენტრის ამხ. კომიტეტის სახელით ა. ხელაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არიან მხოლოდ საქართველოს პროფ. კავშირები, არ არიან ბაქოს წარმომადგენლები და ამიტომ ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა სახელს უწოდებს კონფერენციას და რა ფორმებში ჩამოისხმება მისი მოქმედება-მუშაობა. ყრილობა თავმჯდომარეთ ირჩევს ამხ. მუხრან ხოჭოლავას, რომელიც იმედს გამოსთქვამს, რომ დღეს თუ ხვალ ბაქოელი დელეგატებიც შემოგვიერთდებიან, თუ არ მოვიდენ და ჩვენ მოგვიხდა საქართველოს პროფ. კავშირთა კონფერენციის სახელის დარქმევა, ყრილობა მაინც მტკიცეთ იმუშავებს საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის ნიადაგზე. ყრილობა ყველა საკითხებს გადასწყვეტს ინტერნაციონალის საერთაშორისო პროლეტარიატის ზრახვებთან და მიზნებთან შეფარდებით. ყრილობა იხელმძღვანელებს არა კერძო, არამედ—საზოგადო, საერთო ინტერესებით. (ტაში). თავმჯდომარის ამხ. არჩეულ იქნენ: ხულაძე და ტუსკია; მდივნებათ—კაკაბაძე, რუხაძე, ინწკირველი და ნარსია. ხოჭოლავა მიესალმა კონფერენციას, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი. შემდეგ წაკითხულ იქნა მისალმების დეპეშები სახალხო გვარდიის მთავარი და საველე შტაბებისაგან. ყრილობა ირჩევს ხუთი კაცისაგან შემდგარ სამანდატო კომისიას.

ხულაძის წინადადებით ყრილობამ გადასწყვიტა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს დამფუძნებელ კრებას. ტექსტის შემუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

ბერიშვილის წინადადებით ყრილობა მსჯელობს კონფერენციის სახელწოდების შესახებ. დადგენილ იქნა: სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა ბაქოელი დელეგატების ჩამოსვლა თუ არ ჩამოსვლა, გადაიდოს ყრილობის სახელწოდების საკითხი.

შემდეგ კავკასიის ცენტრის სახელით მოხსენებას აკეთებს ხელაძე. 26 დეკემბერს 1917 წ. თფილისში მოხდა ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია, რომელზედაც აირჩა საბჭო. საბჭომ გამოყო აღმასრულებელი კომიტეტი. პირველი ნაბიჯი ამხ. კომ. პროფესიონალური ორგანოს დაარსებისაკენ იყო მიმართული. კიდევაც გამოიცა ჟურნალი ამ სათაურით: „კავკასიის მუშათა კავშირი". სამწუხაროთ, უსახსრობის გამო პირველი ნომრის მეტი ეს ჟურნალი არ გამოსულა. შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა ისე გართულდა, რომ პროფესიონალურ ორგანიზაციებს არ მიეცა საშუალება ნორმალური მუშაობისა. ბაქო მოწყდა ამიერ-კავკასიას, ის კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში. შემდეგ ამიერ-კავკასიის მთლიანობაც დაირღვა. გაჩნდა ოსმალეთის საფრთხე და პროფესიონალურ კავშირთა წევრების უმრავლესობა გვარდიაში ჩაეწერენ შინაურ და გარეშე მტრებთან საბრძოლველად რასაკვირველია, ასეთ პირობებში პროფესიონალურ კავშირებს არ შეეძლოთ ეწარმოებინათ დადებითი პროფესიონალური მუშაობა და ამიტომ შეიძლება აშკარად ითქვას, რომ საბჭომ დაკისრებული მოვალეობა ვერ აასრულა. შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ეხება იმ მოლაპარაკებას, რომელიც პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს უწარმოებია ბაქოელ პროფ. ორგანიზაციასთან ყრილობაზე ჩამოსვლის შესახებ და ამბობს, რომ ჩვენ ყოველგვარი ზომები მივიღეთ, რათა ბაქოდან პროფ. კავშირების წარმომადგენლები ჩამოსულიყვნენ და თუ მაინც არ ჩამოვიდნენ, ამაში ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის და მთელი პასუხისმგებლობა რასკოლნიკისა თავიდან იხსნის.

სიგვიანის გამო ყრილობამ გადასწყვიტა ამ მოხსენების შესახებ კამათი შემდეგ სხდომაზე გაიმართოს.

ყრილობამ დაადგინა თანაგრძნობის დეპეშა გაეგზავნოს მუშათა კლასის ბელადს ნოე ჟორდანიას შვილის დაკარგვის გამო. პრეზიდიუმს დაევალა მისალმების დეპეშები გაეგზავნოს გვარდიის მთავარ და საველე შტაბებს.

ავ. ხ.

გრანდიოზული კოოპერაცია

საფრანგეთის სოციალისტების გაზეთ „ჰუმანიტე"-ში მოთავსებულია მ. კაშენის შემდეგი წერილი: გაზ. „ტაიმსის" კორესპონდენტი ნიუიორკიდან ატყობინებს, რომ ამერიკის სახალხო წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი პლუმბი, რომელიც დიდი ხანი იყო შეერთებული შტატების რკინის გზელთა ოთხი დიდი კავშირი-სინდიკატის მრჩეველად, შეიტანს ამათი სახელით კანონ-პროექტს პალატაში, რომელსაც საერთაშორისო ყურადღებას მიაქცევენ. პლუმბის პროექტი, რომელსაც ხელს აწერს 2 მილიონი რკინის გზელი, უპირველესად ყოვლისა მოითხოვს რკინის გზების ნაციონალიზაციას. როგორც სჩანს, ეს იდეა გზას იკაფავს ყველაზე უფრო ანტი-სოციალისტურ ქვეყნებში. ინგლისში ამის კანონ-პროექტს ხალხში დიდი გასავალი აქვს. ამერიკაში კი აპირებენ მის განხორციელებას.

ამგვარათ ნაციონალიზაცია ოკეანის იქითა მხარეს უკვე იწყება და საფიქრებელია, რომ საქმე მარტო ლაპარაკით არ დასრულდება და ჩქარა გადავლენ მოქმედებებზე. მაგრამ რაც უფრო საყურადღებოა, პლუმბის წინადადებებში შემდეგი მუხლია: ამერიკის სახელმწიფო აიღებს თავის თავზე გამოსყიდვის ფინანსიურ ოპერაციას, რომელსაც დასჭირდება 100 მილიარდი დოლარი. რაც შეეხება ექსპლოატაციას, სინდიკატების-კავშირების მოსამსახურენი, ეს საქმე მათ გადაეცეს პირდაპირ. პროფესიონალური სინდიკატები, სადაც შედის ყველა სპეციალური დარგები და ყველა ტეხნიკები, თვითონ შესძლებენ გაუძღოლდნენ ამ ნაციონალური მეურნეობის უდიდეს დარგებს.

ამერიკის რკინის გზების შემოსავალი წლიურად უდრის 25 მილიარდს. ისინი გადაუხდიან სახელმწიფოს გამოსყიდვისათვის 5 პროც. კაპიტალიდან. ეს იქნება გრანდიოზული იჯარის ერთი დარგი. თუ შემოსავალი მოგვცემს მისცემს 5 პროც. მეტს, მაშინ რკინის გზელები გაიყოფენ ამ ზედმეტს ხაზინას. თუ დეფიციტი იქნა, სახელმწიფოს მოვალეობა იქნება მისი დაფარვა. არ შევუდგებით რა ექსპლოატაციის ფორმების განხილვის დეტალებში, მივაქცევთ ყურადღებას შეკავშირებული რკინის გზელების ამ დიდ განზრახვაზე. ეს ამტკიცებს, რომ მუშათა ასოციაციები ამიერიდან დარწმუნებული არიან შესძლებენ სათავეში ჩაუდგნენ წარმოებას და ისინი საკმაოდ ძლიერნი არიან, რომ განდევნონ კაპიტალის წარმომადგენლები და მათი ადგილი თვითონ დაიკავონ ბურჟუაზიული საზოგადოების უდიდეს წარმოებების გამგეობის საქმეში.

ფოსტა-ტელეგრაფში

8 აპრილს ფოსტის დარბაზში შესდგა დაბალ მოსამსახურე-მოხელეთა კრება. კრების მიზანი იყო ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალური კავშირის მოქმედება-მოღვაწეობის გათვალისწინება კულტურულ განმანათლებელ, პროფესიონალურ, ეკონომიურ და უფლებრივ სფეროებში. მცირე მოლაპარაკების და კამათის შემდეგ ამხანაგებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ პროფესიონალურმა კავშირმა ვერც ერთ სფეროში ვერ მოგვცა ნაყოფიერი შრომა; პირიქით, უკეთეს შემთხვევაში ერეოდა ისეთ საქმეებში, რომლებიც ადმინისტრაციის და ხშირათ მთავრობის კომპეტენციის სფეროს შეეხებოდა. ასეთმა ორმაგმა მოქმედებამ გამოიწვია დამოკიდებულება ადმინისტრაციასა და მოხელე მოსამსახურეთა შორის და კავშირი თავის პირდაპირ მოვალეობის შესრულებას დაშორდა. კრებამ, გამოვიდა რა ზემოთქმულ მოსაზრებებიდან, პროფესიონალური კავშირის უფრო სწორ გზაზე დასაყენებლად და ნაყოფიერი შრომის გასაწევათ, საჭიროთ სცნო მუშათა პროფესიონალურ კავშირთან გაერთიანება (წარმომადგენლების ყოლის საშუალებით) რაც კრებაზე დელეგატების არჩევით აცნო ფოსტა-ტელეგრაფის პროფესიონალური კავშირის მთავარ გამგეობას და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების დაჩქარება.

ალფრედ.

ამ თვის 9-ში შესდგა საქართველოს ფოსტა-ტელ. მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირთა მეორე კონფერენცია. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კურცხალია, ამხანაგათ გაჩეჩილაძე, მდივნებათ მეზურნიშვილი და ნასიძე. კონფერენციამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას.

შემდეგ კონფერენციამ აირჩია ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე გასაგზავნად ექვსი დელეგატი.

მორზისტ.

სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებანი

6 აპრილს აპრილს წმ. ნინოს უბანში საუბნო სამოქალაქო მილიციის თაოსნობით გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტის მეხუთე განყოფილება, კრებას თავმჯდომარეობდა ამავე უბნის მილიციის თავმჯდომარე ა. ხ. დ. თევდორაშვილი, რომელმაც კრების გახსნასთან მილოცვის სიტყვა სთქვა. მილოცვის სიტყვა წარმოსთქვა ერთობის უბნის გვარდიელების სახელით ამხ. თოლაკაძემ. ილაპარაკეს ლექტორებმაც. ლექცია წაიკითხა ინჟ. ალშიბაიამ „ელექტრონზე და ორთქლზე". უკანასკნელი ლექცია იყო ექიმ ტურიაშვილისა „ხოლერაზე".

მადლობის ღირსია წმ. ნინოს საეკლესიო საბჭო, რომელმაც 500 მან. და სკოლის შენობის დათმობით აღმოუჩინა დახმარება უნივერსიტეტს.

დამსწრე

---

10 აპრილს, საღამოს 6 საათზე ერთობის უბნის მუშათა კლუბში, ამავე უბნის კომიტეტისა და ქვე-კოლექტივის თაოსნობით გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტის მეექვსე განყოფილება.

უნივერსიტეტის განყოფილების გახსნამ აუარებელი საზოგადოება მოიზიდა, რაც იმედს გვაძლევს, რომ ერთობის უბნის დემოკრატია უნივერსიტეტის არსებობას მტკიცე საძირკველს ჩაუყრის და სათანადოთ დააფასებს ამ კულტურულ დაწესებულების აუცილებლობას ამ უბანში.

მეორე რაიონის კოლექტივის სახელით მისალოცი სიტყვა წარმოსთქვა კიკნაძემ და მოუწოდა ხალხს მხნე და ენერგიული მუშაობისაკენ. სახალხო უნივერსიტეტისა და სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე სიტყვები წარმოსთქვეს: ნაკაშიძემ, ალშიბაიამ და ქურქოლიანმა, რომელთაც საზოგადოება სულ განაბული უსმენდა და მხურვალე ტაშით აჯილდოვებდენ ლექტორთ. ქურქოლიანის წინადადებით არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა, რომელთაც უნდა უხელმძღვანელონ ლექციების მოწყობას. დიდი ხმის უმრავლესობით გამგეობაში არჩეულ იქნენ: პ. გაჩეჩილაძე, დ. ქოჩლაძე და აბრამიძე. მათ კანდიდატათ მ. ბლუაშვილი. შემდეგი ლექცია დანიშნულია 15 აპრილს.

დ. ქოჩლაძე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისის მაზრის სოც.-დემ. კომიტეტში. 8 აპრილს შესდგა პირველი სხდომა ახლათ არჩეულ პრეზიდიუმისა. პრეზიდიუმის წევრთა შორის მოხდა განაწილება თანამდებობათა. თავმჯდომარეთ პრეზიდიუმისა ამხ. ანანია სალუქვაძე, ამხანაგებათ ე. კაკაბაძე და დ. ხართიშვილი, მდივნათ და ხაზინადრათ გერონტი კილაძონია. მეორედ სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: თანახმად კომიტეტის დადგენილებისა ეცნობოს ყველა ორგანიზაციებს მაზრაში, რომ იდღესასწაულონ საერთაშორისო პროლეტარიატის დღე პირველი მაისი და გამართონ ყველა საზოგადოებებში საზოგადო კრებები, კომიტეტი თავის მხრივ ამ დღისთვის გაგზავნის თავის წარმომადგენლებს. მესამე სხდომამ იქონია მსჯელობა და შესაფერი ბინის გამონახვა მიანდო ამხ. ხართიშვილს.

5 აპრილის სხდომაზე შემდეგი კითხვები გაირჩა: 1) მაზრის ერობასთან დამოკიდებულება, 2) იდეიურ-კულტურული მუშაობა მაზრაში. მაზრის ერობასთან დამოკიდებულების შესახებ პრეზიდიუმმა, იქონია რა მსჯელობა, დაადგინა: მაზრაში ნაყოფიერ მუშაობისათვის იქონიოს მჭიდრო კავშირი მაზრის ერობის სოც. დემ. ფრაქციასთან. ამ მიზნით მოწვეულ იქნას ფრაქციის წარმომადგენელი სათათბირო ხმით პრეზიდიუმში. კულტურულ მუშაობის შესახებ სხდომამ საჭიროთ სცნო სისტემატიურათ იმართებოდეს მაზრაში ლექციები და წარმოდგენები.

მდივანი.

მუშათა შორის

თფილისი. 5 აპრილს საქართველოს რკინის გზის სტამბაში მოხდა ამავე სტამბის მუშათა საერთო კრება ვ. ნაცვლიშვილის თავმჯდომარეობით. მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. წულაიამ. ის ვრცლად შეეხო იმ საფრთხეს, რომლის წინაშე იდგა ჩვენი ქვეყნის დემოკრატია და მუშათა კლასი რევოლიუციის პირველ დღიდანვე, თუ როგორ სძლია მან ყველა დაბრკოლებანი და მოიწვია ხალხის სრულუფლებიანი ბატონ პატრონი—დამფუძნებელი კრება.

კრება შეეხო აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვას და გამოიტანა შემდეგი ორი რეზოლიუცია: 1) საქართვ. რკინის გზის სტამბის მუშებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, აღფრთოვანებით მივესალმებით დამფუძნებელ კრებას, სრულ ნდობას ვუცხადებთ მის მიერვე ნდობით აღჭურვილ მთავრობას ნ. ჟორდანიას მეთაურობით და აღუთქვამთ მას მხარის დაჭერას ჩვეულებრივად მომავალშიც მთელი ჩვენი დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

2) ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიქონიეთ რა მსჯელობა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ, ვაცხადებთ, რომ მათ გამოსვლას სრული დეზორგანიზაცია შეაქვს მთელიან მუშათა კლასში და ამიტომ ჩვენ პროტესტს

ვუცხადებთ გაფიცულებს და სრულ ნდობას ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირს და დემოკრატიულ ქალაქის თვითმართველობას. X.

ბორჯომი. ბორჯ. სახელმწ. მამულებში ამას მუშაობა მეტი იქნება. მარტო შავწყალზე არის სამი ქარხანა, ხერხისა, შუშისა, ყუთებისა. კიდევ არის ხერხის ქარხანა ახალდაბაში. პარკში არის სამკურნალო წყლის ქარხანა, არიან მებაღეები, არიან ტყის მცველები. ყველა ამათ გადაწყვიტეს დაარსონ საერთო კავშირი. აპრილის 9 მოახდინეს კრება. დაესწრო სამასამდე სული, თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ბასილაშვილი, მდივნათ კრავცოვი. მოხსენება გააკეთა თავმჯდომარემ და განაცხადა კავშირის მიზანი. მოხდა არჩევნები. აირჩიეს: ბასილაშვილი, კრავცოვი, გეგენავა, კურტანიძე, რისტომაშვილი, ბარბაქაძე, კალაძე, კალაშვილი, შვენიკევი, გამცემლიძე, ქავთარაძე, მედვედევი, მესხიძე, ელიაზოვი, ელისაშვილი, კრავცოვი, ბალაძე, ქეთაშვილი, ხუციაშვილი. ვუსურვებთ ახალ არჩეულ გამგეობას ნაყოფიერ მუშაობას. აქ ძალიან სიძვირეა, ყველი იყიდება 14 მანეთი, ღვინო 20 მან., კარტოფილი 3 მან., პური თონისა 4 მან. 50 კ., ფუნტისა—4 მანეთი, ქერით და სიმინდი ნაკლები.

ბ—შვილი.

ტფილისის შოფერების პროფესიონალურ კავშირის საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა ამა წლის 2 მარტს, გადაწყდა გამოირიცხოს კავშირის წევრობიდან ავტომობილების მესაკუთრენი.

ამავე კრებაზე არჩეულ იქნა ახალი გამგეობა, რომელშიაც წევრად არ შესულა არცერთი მესაკუთრე, გარდა დაქირავებულ შოფერებისა. ახალი გამგეობა ისწრაფვის რა გააძლიეროს პროფესიონალური მუშაობა თბილისის შოფერებში, მოუწოდებს ყველა ამხანაგებს ამ პროფესიისას, რომლებიც ჯერ არ შემოსულან კავშირში, დაუყოვნებლივ ჩაეწერონ საკუთარ ორგანიზაციაში, რომელიც ერთად-ერთი და საიმედო დამცველია მუშათა ინტერესებისა. უპირველესი მიზანი კავშირისა არის 8 საათის სამუშაო დღის გატარება შოფერთა შორის, ბრძოლა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და კულტურულ განმანათლებელ მუშაობის წარმოება შოფერებს შორის. გამგეობა ენერგიულად მოუწოდებს ყველა შოფერებს ჩაეწერონ საკუთარ ორგანიზაციაში, ხოლო იმათ, ვინც უკვე ჩაწერილია, შეიტანონ თავისი საწევრო გადასახადი. მხოლოდ ძლიერი ორგანიზაციით მოიპოვებთ ბრწყინვალე მომავალს.

შოფერების პროფესიონალურ კავშირის ბიურო მოთავსებულია ყოფილ სასტუმრო „ბო მონდის" შენობაში (ელისაბედის ქ. 14) ოთახი—22, დღეში საღამოს 5—8 საათამდე.

გამგეობა.

პროვინცია

ახალ ჩანჩეთი. (ჩოხატაურის საზოგადოება). ამ ორი წლის წინად სოფ. ჩანჩეთის მოწინავე ელემენტების თაოსნობით სადაური ჯუმათიდან შეუდგნენ შარაგზის გაყვანას, ამ გზას უნდა გაევლო იმ ეკლესიასთან, სადაც ასაფლავია ხალხის გულის მესაიდუმლე ეგნატე ნინოშვილი და შეერთებოდა სუფსა-ლანჩხუთის დიდ შარა-გზას. ეს გზა დიდათ საჭირო და სასარგებლოა საზოგადოებისათვის, რადგანაც ხსენებულ ეკლესიასთან მოთავსებულია სასწავლებელი, წიგნთ-საცავ-სამკითხველო და კოოპერატივი. აქვე იქნება ტელეფონის სადგური, უკვე დასობილია ტელეფონის ბოძები და მავთულებიც დამზადებულია. აქვე უნდა გაიხსნას ე. ნინოშვილის სახელობაზე საშუალო სასწავლებელი, რომლის საფუძველიც უკვე ჩაყრილია. მაშინ ყველამ კარგათ ჰქონდა გათვალისწინებული ამ გზის საჭიროება და მნიშვნელობა და ამიტომაც დიდის აღფრთოვანებით აკეთებდნენ მას. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ამ დროს ე. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ 25 წლის თავი გადაიხადეს და მის საფლავზე გამართულ მრავალ რიცხოვან მიტინგზე ორატორები (უმთავრესად ბენია ჩხიკვიშვილი) ამ გზის მნიშვნელობას შეეხნენ და ურჩევდნენ საზოგადოებას მის მალე დამთავრებას. ეგზომ დაჰპირდნენ ხალხს უსასყიდლოთ სამკურნალოს და ავათმყოფების გასინჯვას, როცა გზის გაყვანა მოთავდებოდა.

მაგრამ ამ დაწყებულ საქმეს თავიდანვე აღმოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი იმათგან, ვის მიწაზედაც გზას უნდა გაევლო და რომელთაც გზის საჭიროებისათვის ცოტაოდენი მიწა ჩამოეჭრებოდათ, მიუხედავად ამისა, პირველად საქმე მაინც კარგათ მიდიოდა. მაგრამ ამ რეაქციის ხანაში ხალხმა ვეღარ მოიცალა, რომ გზა დაემთავრებინა. ამით ისარგებლეს იმ ელემენტებმა, რომელნიც თავიდანვე ცდილობდნენ საქმის ჩაფუშვას და შეუდგნენ გაკეთებული გზის გაფუჭებას. მაგ. ბესარიონ მოისწრაფეშვილმა გზაზე გაკეთებული ბოგა დაანგრია და თავის სახლი ჩადგა გზაში. ამჟამად—ამ ვაჟბატონმა ჩოხატაურის საზოგადოების კომისარის დახმარებით შესძლო ეს.

შესაძლებელია ბესარიონის მაგალითს სხვებმაც მიბაძონ და მაშინ საზოგადოების ამდენი შრომა ტყვილად დაიღუპება. ამ გზაზე, არა ნაკლები სამი ათასი კაცის ნამუშევარი და გასაკვირველია, საზოგადოებამ, რომელიც დიდი სიხარულით შეუდგა გზის კეთებას, რათ არ მიაქცია ყურადღება ამ მოვლენას და მაშინვე არ აღკვეთა სახალხო საქმის დაღუპვის მოსურნე.

გაუგებარია აგრეთვე რათ არ მიაქცია ამას ყურადღება ე. ნინოშვილის სახელობის სასკოლო კომიტეტმა, რომელიც დიდი ხანია არსებობს აქ ა. შარაშიძის თავმჯდომარეობით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეს. მოისწრაფეშვილს პარტიის კაცად მოაქვს თავი და იგი პარტიის წევრადაც ითვლება.

აუცილებლად უნდა მოეთხოვოს მას სასტიკი პასუხი. ვინ მისცა მას უფლება დაენგრია ხალხის მიერ გაკეთებული ბოგა და ჩაედგა სახლი გზაში. საჭიროა აგრეთვე, საზოგადოება შეუდგეს დაწყებული გზის დამთავრებას. იმედია ამას ყურადღებას მიაქცევს ოზურგეთის სამაზრო ერობა.

ბეჟ შემატკივარი

ს. კახათი. (ზუგდიდის მაზრა.) ს. კახათი ქ. ზუგდიდიდან არის დაშორებული რვა ვერსით ზუგდიდ—ანაკლიის გზაზე, ეს სოფელი 1905 წ. ზუგდიდის მაზრაში რევოლიუციონურ ცენტრს შეადგენდა, მაგრამ აქ არიან პირები, რომლებიც პროვოკაციას და დემაგოგიას ეწევიან და სურთ ზუგდიდის მაზრაში ისევ ანარქია გაბატონონ. ეწევიან აგიტაციას ხელმძღვანელ ორგანოების, ერობის და სხვა დაწესებულების წინააღმდეგ. საჭიროა ამ მავნე ელემენტების ალაგმვა.

მეგრელი.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ წინადელ ნომერში მოთავსებულ „ვერხვის" წერილის გამო ხელმეორეთ გაუგებრობის თავიდან აცილებლათ მოათავსოთ შემდეგი: შორაპნის ერობის ს. დ. ფრაქციას არავითარი საყვედური არ მიუღია ნ. დ. კ. საყვარელიძის გამგეობაში მოწვევის გამო, რომელიც ფრაქციამ გადააყენა შორაპნის საოლქო-მაზრის კომიტეტის განკარგულებით სადაც ის ორი წელი მუშაობდა და მაშასადამე, ამ ნიადაგზე არც შეიძლებოდა მომხდარიყო გამგეობის გადახალისება. გადახალისების მიზეზი რომ ქ. საყვარელიძე ყოფილიყო, მან ხომ სესიის გახსნამდე შემოიტანა განცხადება გასვლის შესახებ და რადგან საჭირო იქნებოდა მთელის გადახალისება. და არც არავითარი გადახალისება არ მომხდარა: სამმა წევრმა თავი დაანება სამსახურს და ჩვენც მაგიერათ ახლები ავირჩიეთ.

შორაპნის ერობის ხმოსანთა ს. დ. ფრაქციის წევრი ზ. გურული.

ჩვენი ჯარისთვის

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ახალციხის იმ მოქალაქეებს, რომელნიც ჩვენი ტყვეობის დროს დიდ დახმარებას გვიწევდნენ: სურსათით და თამბაქოთი.

მონდობილობით: [illegible] ბურჯანაძე. ქ. ახალციხე.

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ახალციხის და ახალქალაქის გენ.-გუბერნატორის გენერალ ქვინიტაძის მეუღლეს, რომელმაც, ჩვენ, 1 ლ საპიონერო ასეულის ჯარისკაცებს საჩუქრები გამოგვიგზავნა.

ზემდეგი აბუთაშვილი.

ცნობები

ავთანდილ ანთიმოზის ძე შარაშენიძე იმყოფებოდა სად. გაგრაში 1918 წ. იანვრის შემდეგ არაფერი ვიცით მის და თუ რამე იცის ვინმემ, გთხოვთ გვაცნობოთ მშობლებს შემდეგი მისამართით: სად. ნავთლუღი. ანთიმოზ შარაშენიძეს.

განცხადებანი

ს. [illegible].

ვაი დამარცხებულს

ეპიზოდი 1 მოქ. ამიერთვეთიდან.
სომეხ-საქართველოს ომიდან.

დაიბეჭდა და იყიდება. ფასი 2 მ. 50 კ.

ღია წერილი

ვლ. გრ. კანდელაკს, გამგე 1 რკინის გზის სახ.

იმ უსიამოვნოების გამოსარკვევათ, რომელიც ჩვენს შორის დაიბადა, გიწვევთ სამედიატორო სამართალში. ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ: ბატ. ს. ძმისტარაშვილს და ბატ. ი. სიხარულიძეს. სამი დღის განმავლობაში გთხოვთ დაასახელოთ თქვენი მხრით მედიატორები. ამასთან აუცილებელ პირობათ მიმაჩნია გამტყუნებული პირი შესაფერისათ დაისაჯოს და განაჩენიც გაზეთში გამოცხადდეს.

მასწავლებელი ელენე თათრიშვილი.

განცხადება

ვასწავლი ძველი წინდების გამოქსოვას და შეკეთებას („დაშტოპვას"), მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 ს. არტილერიის ქ. № 5, ბინა 5. იკითხეთ ხელსაქმის მასწავლებელი. (2—2)

ქართული ლატარია

დაგვანებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავე
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვირგვინდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების ხვედრი.
ეხლა ლექსი აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოგვეშველეთ მალე
ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მხურვალ მუდამ [illegible],
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„[illegible] ერო,
ლატარიას ქართულს".

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი [illegible] და არსებითის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და საშარდსასქესო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი

ლ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი მ. ა. ზაზრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღის ქ. № 38.

ექიმი

ბესარიონ პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

კიროჩნის ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ქრონიკული სუსუნატი) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავადმყოფობანი, „606" და „914" შეშხაპუნება. მამაკაც ავადმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი

ნ. ლ. ცურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, [illegible] და ქალურ სნეულებიან ავადმყოფთ დილით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი

ვ. ნ. გოგიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკისა სამხ. სამედ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606" და „914" შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე. კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა, № 11.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, [illegible] ქ., № 41, ტელ. № 14—60.

დოქტორი

გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ვენის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი ქალი

რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დახმარებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი

ალ. გ. მაჭავარიანი.

იღებს საშარდსასქესო ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ალამოვისა № 111. (მე-2 ფლიგელი) [illegible] ტელეფონი № 49.

მეოთხე რაიონული კოლექტივი

სამშაბათს, 15 აპრილს, საღ. 6 საათზე, ვერის პარტიულ მუშათა კლუბის დარბაზში (ოლღას ქ. 29) იწვევს მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა

საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 2) საორგანიზაციო კითხვები. 3) საერთაშორისო მდგომარეობა. უკანასკნელ კითხვაზე მოხსენებას გააკეთებს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. პ. საყვარელიძე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა. მე-4 რაიონული კოლექტივი. (2—1)

დღეს, 13 აპრილს, დილის 10 საათზე, ორთაჭალის მუშათა კლუბის შენობაში დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა

საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე. 2) სარევიზიო კომისიის არჩევნები 3) მიმდინარე კითხვები. მე 6 რაიონის კოლექტივი.

კახელ მეღვინეთა და მევენახეთა აქციონერული საზოგადოება

„კახური ღვინო"

ამით აცხადებს მევენახეთა საყურადღებოდ, რომ საზოგადოებამ აიღო წარმომადგენლობა ინჟინერ ჩხეიძისაგან, მის მიერ გამოგონილ გოგირდის შესაყრელი ხელის საბერველი „შექ"-ის გასავრცელებლად კავკასიაში. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ავეჯის სახლი „კომერსანტ"-ის კონტორას. თბილისი, რუსთაველის ქუჩა (გოლოვინის პროსპექტი) № 10.

მუშათა კლუბი ვერაზე

ოლღას ქუჩა, № 29.

კვირას 13 აპრილს, მეოთხე რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტ. არსებ. ქართ. სახ. წარ. წრე გამართავს სადამო მეჯლისს, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ფრონტზე მყოფ მეოთხე რაიონის გვარდიელების სასარგებლოთ საალდგომო საჩუქრებისათვის.

I **კირილე ნინიძე** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: სახალხო გვარდია და მისი მოღვაწეობა ჩვენი რესპუბლიკის დაცვაში.

II გ. ქუჩიშვილი, გ. რუხაძე, ობოლი მუშა და გ. მაისურაძე წაიკითხავენ ლექსებს.

III წრის სცენის მოყვარეთა მიერ ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია 2 მოქმედებათ.

ჯერ დაიხოცნენ, მერმე იქორწინეს

დასასრულ გაიმართება ცეკვა, რომელიც გაგრძელდება ღამის 3 საათამდის. ანტრაქტებში და ცეკვის დროს დაუკრავს დუდუკი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ნ. ჯავახიშვილი, ა. ანკარა. ბ.ბ. შ. საფარიძე, გ. იორდანიშვილი, გ. ძნელაძე, გ. ქუჩიშვილი, გ. რუხაძე, ობოლი მუშა და გ. მაისურაძე. დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

რეჟისორი გ. იორდანიშვილი. გამგე ლ. ბერიტაშვილი.

შემდეგი წარმოდგენა ორშაბათს, 21 აპრილს. დილით გაიმართება საბავშვო წარმოდგენა. (1—1)

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ეცლაბიშვილის ხელმძღვანელობით.
კვირას 13 აპრილს დილით ქართულ ენაზე

დემონი

მონაწილეობენ: შულგინა, ხორინა, სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, კურბატოვი, დიმიანსკი. საღამოს

ტრუბადური

მონაწილეობენ: ალეშკო, ავტკა, ნორიძოვა, პოლიევი. ორშაბათს 14 აპრილს „რიგოლეტო", სამშაბათს 15 აპრილს „კარმენი", ოთხშაბათს 16 აპრილს „[illegible]".

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის არსენალი ეძებს გამოცდილ ხელოსანს მონტიორს საავტომობილო განყოფილებისათვის, მსურველმა მიმართოს არსენალში ინჟინერ ყირკესალიძეს. (1—1)

დამდეგ აპრილს „დიდების ტაძარში" ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ გაიმართება

თანამედროვე ქართულ მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა

საზოგადოება მოუწოდებს ყველა ქართველ მხატვრებს მიიღონ მონაწილეობა განზრახულ გამოფენაში. გამოფენის პირობები:

1) სურათები მიიღება 25 აპრილამდე 2) სურათები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგი მისამართით: თბილისი, გოლოვინის პრ. სახლი № 12, „დიდების ტაძარი", ქართველ მხატვართა საზოგადოების სახელზე. სურათები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 ს. კვირა უქმე დღეს კი დილის 11—2 საათამდე. თბილისს გარეთ მცხოვრებ მხატვრებს შეუძლიათ სურათები გამოგზავნონ ფოსტით. 3) სურათი უნდა იყვეს მოთავსებული ჩარჩოში, და საზოგადოთ უნდა ჰქონდეს გარეგნული წესიერი სახე. 4) სურათის ზურგზე უეჭველად უნდა იყვეს აღნიშნული მხატვრის სახელი, გვარი და მისამართი, სურათის სახელწოდება. წელიწადი სურათის დახატვისა და მისი ფასი. 5) საზოგადოების სახელზე უნდა იქნეს გამოგზავნილი დაწვრილებითი ბარათი, სურათების რიცხვის, სახელწოდების, თითოეულ სურათის ფასის და სხვა ცნობების აღნიშვნით. 6) თანახმად ქართ. მხატვ. საზოგ. წესდებისა გაყიდულ სურათების თანხის 10 პრო. გადადის საზოგადოების სასარგებლოთ (4—1)

რენტგენის კაბინეტი

მეორე ლაზარეთისა, რომელიც უწინ მოთავსებული იყო არამიანცის სახლში, გადატანილია ქალაქის ალექსანდრეს საავადმყოფოში ([illegible] მთავრის ქუჩა № 103) და იღებს რენტგენის სურათებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით დილის 10—12 საათამდე

კაბინეტის გამგე გრიგორიანცი. (2—1)

პ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახ. სახლი

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარ. მართველი წრე.
კვირას, 13 აპრილს 1919 წ. წარმოდგენილი იქნება:

გამცემი

დრამა სამ მოქმედებად ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ბარათაშვილი, გუგულაშვილი, ნინონი, ს. რომანიშვილი-დეკანოზისა. ბ.ბ. რ. სალაყაია, ა. ივერიელი, ა. შანშიაშვილი, ა. თავდგირიძე, სანდალა. რეჟისორი კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი 6 მ.—50 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (2—2)

რაჭველებს და ლეჩხუმელებს

კვირას, აპრილის 13 ს მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დილის 10 საათზე დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის დახმ. საზ. წევრთა და თანამგრძნობთა კრება. განსახილველი საგანი: 1) მოხსენება გამგეობისა თავის მოქმედებაზე, 2) ახალ გამგეობის არჩევნები. რაჭველ ლეჩხუმელებს მოუწოდებთ ამ კრებას უეჭველად დაესწრონ და ამით ჩაეწერონ საზოგადოებაში, რომლის მიზანია დახმარება ჩვენი ჩამორჩენილ კუთხისა.

(2—2) საზოგადოების გამგეობა.

საქართველოს სახ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტს

ესაჭიროება გამგე

ნავთლუღის მაღაზიისათვის, სავალდებულოა იცნობდეს მებოსტნეობას და განსაკუთრებით მწვანილეულობის ადრე მოყვანას. მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—3 ს. მისამართი: ელისაბედის ქ. და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200. (6—5)

საქართველოს სახ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტი იწვევს პირს, რომელსაც სურვილი აქვს და შეუძლიათ მიაწოდონ კომიტეტს სხვადასხვა

პროდუქტები

მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—3 საათამდე. მისამართი ელისაბედის ქუჩა და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200. (6—5)

თბილისის სახელოსნო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

ჩვეულებრივი წლიური კრება

დანიშნულია 13 აპრილს დილის 11 საათზე, ნაცვლად 27 მარტს დანიშნულ კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) 1918 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 4) 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) არჩევა: გამგეობის წევრის მორიგეობით გასულ გ. თ. ყიფშიძის სამაგიეროდ, არჩევა საბჭოს წევრისა მორიგეობით გასულ გ. მ. ლასხიშვილის მაგიერ, სარევიზიო კომისიისა და მათის კანდიდატებისა. ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება. (3—3)

[illegible] სტამბა [illegible]